

ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი  
Centre for Economics Problems Research



ეკონომიკის  
მარეგულირებელი  
ინსტიტუტების  
განვითარება  
საქართველოში

Development  
of Economic  
Regulatory  
Institutes in  
Georgia



FRIEDRICH  
EBERT  
STIFTUNG

**ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების  
განვითარება საქართველოში**

**Development of Economic Regulatory  
Institutes in Georgia**

თბილისი  
Tbilisi  
2009

## ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი

პროექტი განხორციელდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაცია გამოხატავს მხოლოდ ავტორთა ჯგუფის მოსაზრებებს და ფრიდრიხ ებერტის ფონდი პასუხისმგებელი არ არის პუბლიკაციაში მოცემულ ინფორმაციასა და შეხედულებებზე.

The project was implemented with the financial support of Friedrich Ebert Foundation. This publication expresses opinions of the authors only and the Friedrich Ebert Foundation does not bear the responsibility regarding the information and opinions given in the publication.

ISBN 978-9941-0-1438-3

© 2009 Centre for Economics Problems Research  
© 2009 Friedrich-Ebert-Stiftung

ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი ახლად შექმნილი (შეიქმნა 2008 წლის აგვისტოში) ორგანიზაციაა, რომლის დამფუძნებლები ეკონომიკის ექსპერტები არიან. ცენტრის დაფუძნების უმთავრესი მიზანი კვლევითი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობაა, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური პოლიტიკისა და ცალკეული სტრატეგიების შემუშავების ან შეცვლისას რამდენიმე ალტერნატივის არსებობას და ოპტიმალური, გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შერჩევასა და გატარებას.

ცენტრის ძირითადი ორიენტირებია:

- ეკონომიკის საკითხებზე მეცნიერული და პრაქტიკული კვლევების განხორციელება და მათი ხელშეწყობა;
- ეკონომიკური პრობლემების კომპლექსური შესწავლა, რათა უზრუნველყოფილ იქნას არა ცალკეული პრობლემის გადაჭრა, არამედ საქართველოს ეკონომიკის სისტემური განვითარება;
- ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდების გამოყენება, რათა შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკები ეფუძნებოდეს არა მარტო ექსპერტულ, არამედ მათემატიკურ-სტატისტიკურ გათვლებს;
- ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების და შესაბამისი ზღვრული მნიშვნელობების შესწავლა, რათა, ეკონომიკური რეფორმის გატარებისას, სწორად შეფასდეს რეფორმის შედეგები მთლიან ეკონომიკაზე და არა კონკრეტულ სფეროსა და

მაჩვენებლებზე;

- ეკონომიკურ პროცესებზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება საქართველოს საზოგადოებისათვის;
- საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე ინფორმაციის მიწოდება სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის;
- უცხოური გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა, საქართველოში მათი დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასება და ოპტიმალური მოდელების შემუშავება.
- ფორუმების, სემინარებისა და დისკუსიების ჩატარება გლობალურ ეკონომიკურ გამონვევებზე.

კვლევის სფეროები:

- სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში;
- ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა;
- სახელმწიფო ფინანსები;
- ევროპულ ბაზრებთან ინტეგრაცია;
- საინვესტიციო პოლიტიკა;
- ბიზნეს გარემო;
- ეკონომიკური უსაფრთხოება;
- საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები.

ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი მზად არის ითანამშრომლოს არასამთავრობო, სამთავრობო და ბიზნეს ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან; განახორციელოს ერთობლივი კვლევები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება საქართველოს საკეთილდღეოდ.

## The Centre for Economics Problems Research

The Centre for Economics Problems Research is a new organization (founded in August, 2008), established by economic experts. The main objective of founding this centre is to support the development of research organizations and institutes, which will ensure the existence of several alternatives while elaborating or changing the economic policy and certain strategies, and also the selection and implementation of the economic policy that is focused on optimal, long-term development.

The centre is mainly focused on:

- Implementation and facilitation of scientific and practical research on economic issues;
- Complex study of economic problems, in order to ensure the systematic development of the economy of Georgia instead of solving certain problems;
- Application of economic forecasting methods, in order that the elaborated economic policies do not rely only on experts, but also on mathematic-statistical calculations;
- Study of indicators of economic security and respective marginal significances, so that while carrying out economic reform, overall outcomes of the reform on the economy in general, and not on a particular field and indicator is correctly assessed;

- Dissemination of objective information related to economic processes to the population of Georgia;
- Dissemination of information with regard to the current economic processes to foreign countries and representatives of international organizations;
- In-depth study of foreign experiences, assessment of reasonability of their introduction in Georgia, and elaborate optimal models.
- Hold forums, seminars and discussions concerning on challenges to the global economy.

The fields of research:

- The role of the state in the economy;
- Fiscal and monetary policies;
- Public Finance ;
- Integration with European markets;
- Investment policy;
- Business environment;
- Economic security;
- External economic relations.

The Centre for Economics Problems Research is ready to cooperate with non-governmental, governmental and business organizations, independent experts; carry out joint research and activities, which will be focused on the welfare of Georgia.

## სარჩევი

შესავალი	6
შოთა მურღულია, დავით ნარმანია დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობა	7
ნოდარ ხადური ბაზრის რეგულირების მექანიზმების ფაქტიური გაუქმებით გამონვეული შედეგების კვლევა	31
თეიმურაზ მურღულია ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის რეგულირებაში	39
რეკომენდაციები	46

## Table of contents

51 Preface
Shota Murgulia, Davit Narmania
52 Activity of Independent national regulatory Authorities
Nodar Khaduri
74 Research of results on the actual abolition of market regulation mechanisms
Teimuraz Murgulia
81 Role of economic security indicators in market regulation
85 Recommendations

# შესავალი

ეკონომიკის რეფორმებისა და საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, ხშირ შემთხვევაში არათანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, დროში საკმაოდ გაიწვია.

ამის მიზეზი, არცთუ იშვიათად, ეკონომიკური პროცესების იდეოლოგიურ მარჯულებში მოქცევა და მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზის არარსებობა, ან, საუკეთესო შემთხვევაში, გედაპირული ანალიზი. სამწუხაროდ, სახელმწიფომ პრაქტიკულად გააუქმა ყველა ის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელთა პირდაპირი მოვალეობაც სწორედ საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მონიტორინგი და მიმდინარეობის მეცნიერული ანალიზი იყო. შესაბამისად, აღნიშნული ფუნქცია არასამთავრობო სექტორმა აიღო თავის თავზე.

ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი, რომელიც გასული წლის აგვისტოდან ფუნქციონირებს, ძირითად ამოცანად სწორედ ამ ვაკუუმის ამოვსებას და საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ობიექტურ ანალიზს ისახავს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცენტრი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მხარდამჭერია და მიაჩნია, რომ „მთავრობის ზომის“ და შესაბამისად, ეკონომიკურ პროცესებში მისი ჩარევის შემცირებას ალტერნატივა არ გააჩნია. თუმცა, არის სფეროები, რომელთა მხოლოდ საბაზრო მექანიზმების იმედად დატოვება საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარებას კარგს არაფერს მოუტანს.

ცენტრის პოზიცია ზოგიერთი სფეროს დერეგულირების შესახებ წინამდებარე კრებულშია გადმოცემული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი კონსენსუსი იქნეს მიღწეული ეკონომიკის იმ სფეროების ჩამონათვალთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ რეგულირებას და მონიტორინგს უნდა ექვემდებარებოდეს. სამწუხაროდ, დღეისათვის ასეთი კონსენსუსის ჩანასახიც კი არ არსებობს. არადა, დღეს საქართველოს ეკონომიკა ვითარდება ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუციების გარეშე, რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

დღეს საქართველოში არ არსებობს, ან მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რეგულირების ისეთი ინსტიტუციები, რომელთა ვალია დაიცვან კონკურენცია, არ დაუშვან კარტელური გარიგებები, დაიცვან მომხმარებელთა უფლებები, უზრუნველყონ ანტიდემპინგური ღონისძიებები და სხვა. ეს ყოველივე ქვეყანაში როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ფონის გაუარესებას იწვევს და სერიოზული საფრთხის მატარებელია.

წინამდებარე ნაშრომი ამ სერიოზული პრობლემის კვლევის მოკრძალებული მცდელობაა. კვლევის საფუძველზე, ცენტრი მზად არის მოამზადოს რეგულირების სფეროში მდგომარეობის გამოსასწორებელი პოლიტიკის დოკუმენტი, გააგრძელოს მუშაობა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად ამ და სხვა პრობლემებზე საკითხებზე და გაითვალისწინოს საქმიანი შენიშვნები და წინადადებები.

გვსურს მადლობა გადავუხადოთ ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობას საქართველოში, რომელის დახმარებითაც მოხერხდა აღნიშნული კვლევის ჩატარება.

შოთა მურღულია

დავით ნარმანია  
საჯარო ადმინისტრირების დოქტორი

## დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიების საქმიანობა

### დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა, რომლის უმთავრესი პრინციპიც იყო ეკონომიკაში რაც შეიძლება მინიმალური ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნა სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე, გადასახადების განაკვეთების შემცირებაზე, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის მინიმიზებაზე და ა.შ. ლიბერალიზაციის პოლიტიკა შეეხო ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიებსაც, რომლებიც ისეთი მომსახურების/საქონლის მიმწოდებლები არიან ბაზარზე, როგორცაა ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, საქალაქო და მობილური კომუნიკაცია, მგზავრთა სატრანსპორტო გადაყვანა, ტვირთების გადაზიდვა და სხვა. ამდენად, ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მიერ გატარებული ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, ზოგიერთი სფეროს მინოდების რეგულირების ფუნქცია სახელმწიფოდან ბაზარს ან კიდევ დამოუკიდებელ მარეგულირებელ ეროვნულ კომისიებს გადაეცათ. ქვეყნის ხელისუფლების მიერ რეგულირების ბერკეტების გადაცემა ბაზრისთვის ან კიდევ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანიზაციებისათვის (ანუ ე.წ. დერეგულირება) აიხსნე-

ბოდა იმით, რომ ბაზარი დაარეგულირებდა სახელმწიფოს მხრიდან სექტორებზე უხეში ჩარევით გამონვეულ დეფექტებს, კონკურენცია უზრუნველყოფდა საზოგადოების კმაყოფილების მეტ დონეს და მეტად იქნებოდა დაცული მომხმარებლის ინტერესები.

კლასიკური გაგებით, **რეგულირება** ეს არის იმ კანონებისა და წესების ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო ახდენს გეგავლენას ბაზარზე მოქმედი სუბიექტების გადაწყვეტილებებზე. კონკრეტულ ბაზარზე რეგულირების აუცილებლობამ შეიძლება დროთა განმავლობაში მნიშვნელობა დაკარგოს. ასევე რეგულირების აუცილებლობა შეიძლება განპირობებული იყოს ბაზარზე სიტუაციის შეცვლით, რათა უფრო მეტად დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი ინტერესები<sup>1</sup>. ძალიან ბევრი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აბსოლუტურ დერეგულირებას მომხმარებლის ინტერესების საზიანო შედეგი მოაქვს. ძირითადად, პატარა ბაზრებზე ბუნებრივი მონოპოლიების არსებობა ქმნის მნიშვნელოვან საფრთხეს, ამიტომაც ასეთ ბაზრებზე აუცილებელია რეგულირების გარკვეული ბერკეტების არსებობა. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები შექმნეს და რეფორმები წარმატებით განახორციელეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა აშშ,

1. „მარეგულირებელი კომპანიების საქმიანობა საქართველოში და მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში“, – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი #96, თბ. 2005 წ., გვ. 4.

დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, შვედეთი, გერმანია, საფრანგეთი, ესტონეთი და ა.შ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისუფალ ბაზარსაც გააჩნია კრიტიკა, რაც ძირითადად გამომწვეულია ისეთი გარემოებების არსებობით, რომლის დარეგულირებაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია. მსგავს გარემოებებზე შეიძლება განვიხილოთ:

- სახელმწიფო პროდუქციის არსებობა ანუ ე.წ. საზოგადოებრივი სერვისები;
- მომხმარებლისთვის არასაკმარისი გამჭვირვალობა ანუ ინფორმაციის ნაკლებობა ბაზარზე;
- კონკურენციის ხელოვნური შეზღუდვის მცდელობა კომპანიების მხრიდან, რათა მათ უზრუნველყონ მოგების მაქსიმიზაცია;
- შემოსავლების და ქონების არათანაბარი გადანაწილება საზოგადოებაში.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფოსაც აქვს ამოცანები ეკონომიკაში და ის ხელს უნდა უწყობდეს თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. ერთის მხრივ, თავისუფალი კონკურენციის განვითარება და, მეორეს მხრივ, ბუნებრივი მონოპოლიების არსებობის პირობებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მეშვეობით ბაზრის დეფექტების რეგულირება დღის წესრიგში აყენებს ისეთი რეგულირების აუცილებლობას, როცა: (1). ხდება რეალური რეგულირება დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით, სადაც გავლენას ვერ ახდენს ვერც სახელმწიფო და ვერც კომპანიები; (2). საქონლის/მომსახურების ტარიფები წესდება ღიად (გამჭვირვალედ) ისე, რომ მიმწოდებელ კომპანიებს არ ეძლევათ ზემოგების მიღების საშუალება; (3). პროცესები მიმდინარეობს გამჭვირვალედ და მომხმარებლის უფლებათა დაცვაზე ხდება კომისიის, ასევე სასამართლოს მხრიდან ადეკვატური რეაგირება.

ჩვენი ამოცანაა ვნახოთ, თუ რამდენად ეფექტურად შეძლეს დამოუკიდებელმა მა-

რეგულირებელმა კომისიებმა ბაზრის რეგულირება და რამდენად დაცულია მომხმარებლის ინტერესები, რამდენად ეფექტურად წყვეტს ბაზარი საბაზრო ჩავარდნებთან დაკავშირებულ პრობლემებს და თავისუფალი საბაზრო პრინციპები რამდენად უზრუნველყოფენ მომხმარებლის ინტერესების დაცვას.

საქართველოს კანონმდებლობით, **დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო** არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში<sup>2</sup>.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოებისთვის აუცილებელია გამოიყოს შემდეგი გარემოებები:

- სახელმწიფო საზღვრავს რეგულირებას დაქვემდებარებულ სფეროებს;
  - რეგულირების სპეციალური უფლებაუნარიანობა გადაეცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს;
  - აღნიშნული სსიპ შექმნილია სპეციალურად რეგულირებისათვის და მას არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო;
  - მარეგულირებელი სსიპ დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.
- საქართველოში 2005 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედებდა შემდეგი მარეგულირებელი ორგანოები:
- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

2. საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.

- საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო;
- საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია;
- საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია;
- საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაცია.

აღნიშნული ადმინისტრაციები (საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, საქართველოს საზღვაო ადმინისტრაცია, სარკინიგზო ტრანსპორტის ადმინისტრაცია) „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 2005 წ. 1 დეკემბრიდან გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ერთი მარეგულირებელი ორგანო – საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ამრიგად, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2005 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოში შეიქმნა შემდეგი მარეგულირებელი ორგანოები (კომისიები):

- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
- საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
- საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

2007 წლის 10 აპრილს „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების

შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის შედეგადაც გაუქმებულ იქნა ახლად შექმნილი საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ამ ფაქტს წინ უძღოდა პრეზიდენტის გამოსვლა, რომელმაც პირდაპირ მოითხოვა ამ მარეგულირებელი ორგანოს გაუქმება. მისი მოსაზრებით, ეს კომისია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას არათუ ხელს უწყობდა, არამედ საგრძობლად აფერხებდა დარგის განვითარებას. მიუხედავად მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობისა, პრეზიდენტის გამოსვლიდან რამდენიმე კვირაში ეს ორგანო ამოღებული იქნა მარეგულირებლების ჩამონათვალიდან. ეს ფაქტი, ერთის მხრივ, მეტყველებს საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი კომისიების არაეფექტურობასა და, მეორეს მხრივ, მათი დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე.

2007 წლის 19 ივნისს, კიდევ ერთი ცვლილება შევიდა „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში, რის საფუძველზეც მარეგულირებლების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო. შესაბამისად, დარჩა 2 მარეგულირებელი კომისია.

2007 წლის 15 დეკემბერს, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას გაუფართოვდა ფუნქციები წყლის რეგულირების თვალსაზრისით და იგი გადაკეთდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედებს 2 მარეგულირებელი კომისია:

• საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

• საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვინაიდან კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მქონე მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანოს, იგი ვალდებულია, საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს კანონით დადგენილი წესით. ამასთან, კანონმდებლობით დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში ჩარევა, ამ საქმიანობის კონტროლი და საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს გათვალისწინებული არ არის შესაბამისი კანონით.

საქართველოს მარეგულირებელი ორგანო ყოველწლიურად, კანონით დადგენილ ვადებში, შეიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს და ატარებს თავისი ხარჯებისა და ბუღალტერიის ანგარიშების ფინანსურ აუდიტს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩატარება. ასეთი ორგანოების აუდიტს ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორები, რომელთაც შეარჩევს სატენდერო კომისია. მათ შემადგენლობას, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. ფინანსური საქმიანობის შესასწავლად შერჩეული აუდიტორის საკომპენსაციო სახსრები უნდა გაიღოს დამოუკიდებელმა მარეგულირებელმა ორგანომ. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია, საჯაროდ

გამოაქვეყნოს თავისი საქმიანობის ანგარიში და ფინანსური აუდიტის შედეგები.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ხარჯები ფინანსდება რეგულირების საფასურიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლებიდან. ყველა პირი, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს საქმიანობა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროში, ვალდებულია, გადაიხადოს რეგულირების საფასური. რეგულირების საფასური ისე უნდა დადგინდეს, რომ საკმარისი იყოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. იგი გადაირიცხება ცალკე საბანკო ანგარიშზე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს სარგებლობისათვის, რომელსაც ეწეება მისი მიზნობრივი გამოყენების სრული უფლებამოსილება.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ანგარიშში და გაითვალისწინება რეგულირების საფასურის ცვლილებისას.

მარეგულირებელი კომისიების ბიუჯეტები ყოველწლიურად იზრდება, რაც მათ სექტორში მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ზრდითა და საერთო შემოსავლების მატებით არის განპირობებული. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის რეგულირების საფასური დამოუკიდებელია კომპანიის შემოსავლებზე და იგი მთლიანი შემოსავლების 1 პროცენტს შეადგენს. ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ რეგულირების საფასური ცალკე არის განსაზღვრული რეგულირებადი სფეროებისათვის და ისინი შესაბამისი პროდუქტის ტარიფში აისახება.

როგორც წესი, მარეგულირებელ კომისიებს მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები არ რჩებათ და შესაბამისად, წლების განმავლობაში არ ხდება რეგულირების საფასურის შემცირება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანხების ათვისების მიზნით მარეგულირებელი ორგანოების ბიუჯეტებიდან განუყოფელი კაპიტალური ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. ამის ნათელი მაგალითია კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიაში ყოველწლიურად მიმდინარე “დაუსრულებელი” კაპიტალური რემონტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდოვანია „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში ფინანსური დამოუკიდებლობის თაობაზე არსებული ნორმა, სადაც მითითებულია, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ხარჯები ფინანსდება რეგულირების საფასურიდან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლებიდან. კანონში არ არის მითითებული, თუ რა იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემოსავლებში და დამატებით რისი მიღების უფლებამოსილება გააჩნიათ ამ ორგანოებს.

დაფინანსების ეს მექანიზმი, რომელიც კომპანიების შემოსავლებზეა მიბმული, ნაკლებად უზრუნველყოფს მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევაში, მარეგულირებელი ფინანსურად არ არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, თუმცა, დამოკიდებულია მსხვილ კომპანიებზე, რომლისგანაც ივსება მისი ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი. აქედან გამომდინარე, კომპანიებს შორის დავების განხილვის დროს, ნაკლებად სავარაუდოა, კომისიამ გადაწყვეტილება მსხვილი კომპანიების საწინააღმდეგოდ მიიღოს.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილებაა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ლიცენზიების და ნებართ-

ვების გაცემა, ასევე მათი მოქმედების შეჩერება, მოქმედების ვადის გაგრძელება, მათი მოდიფიცირება და გაუქმება. ასევე მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება ტარიფების დადგენა და რეგულირება. მათი საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხი განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით დადგენილი წესით, რომელიც გულისხმობს საჯარო განხილვების მოწყობას სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება აქვთ მხოლოდ სასამართლო ორგანოებს. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ვალდებულია, მოაწყოს საჯარო განხილვები სალიცენზიო და სატარიფო უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე.

მარეგულირებელ ორგანოებს გააჩნიათ მთელი რიგი ფუნქციები და მოვალეობები, რათა მათ უზრუნველყონ მომხმარებელთა უფლებების დაცვა და საქმიანობის საჯაროობა, ასევე შესაბამისი სექტორის ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო გარემოს შექმნა.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობა წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ნეიტრალური და პოლიტიკური ჯგუფებისაგან თავისუფალი რეგულირების მყარ გარანტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ქმნის სანდო და სტაბილურ საინვესტიციო გარემოს, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიურად მზარდი და ინოვაციური სისტემების დანერგვას. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს პირობებში მიმდინარეობს ლიბერალიზაციის ხელშეწყობა, მცირდება ბიუროკრატიული ბარიერები, ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების პრივატიზება და დგინდება კონკურენციის ხელშეწყობის პირობები. ასევე, მა-

რეგულირებელი კომისია წარმოადგენს სექტორის არბიტრს და უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია, რომ მარეგულირებელი კომისიების წარმატებული საქმიანობის შედეგად, მათი თვითღირებულება ხორციელდება, რადგან ოლიგოპოლიური ბაზრიდან პოლიპოლიურ ბაზარზე გადასვლა რეგულირების აუცილებლობას აღარ საჭიროებს. სამწუხაროდ, საქართველოში მარეგულირებელი კომისია, ძირითადად, მზარდი ბიუჯეტით და საჯარო მოხელეების ძალიან მაღალი ხელფასებით გამოირჩევა, რის გამოც, ამ კომისიის წევრობა საკმაოდ მიმზიდველია. თუ გავითვალისწინებთ კომისიაში წევრების დანიშვნის საკითხს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისინი ბოლომდე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ვერ იქნებიან.

**ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროს რეგულირება**

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონისა და “საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების” თანახმად, საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილ, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე დამოუკიდებელ ორგანოს. იგი დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და არ არის დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე<sup>3</sup>.

3. “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის გ) პუნქტი

ენერგეტიკის სფეროში უმთავრეს ნორმატიულ აქტს წარმოადგენს “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონი, რომლის უმთავრესი მიზანი კონკურენციის განვითარების საფუძველზე და არსებული არაკონკურენტული ბაზრის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით საქართველოს წყალმომარაგების, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებისა და ტარიფების სისტემების ჩამოყალიბების უზრუნველყოფაა.

კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, აუცილებელი გახდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და მარეგულირებელ კომისიას შორის ფუნქციები გამიჯვნა.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ამოცანებს წარმოადგენს ელექტროენერგეტიკისა და გაზის დარგებში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა, ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის შექმნა და მიღება. იგი განთავსებული უნდა იქნას ამ დარგებში მესაკუთრის, ოპერატიულ-სამეურნეო და მარეგულირებელი ფუნქციებისაგან.

ელექტროენერჯისა და გაზის სფეროში სახელმწიფო საკუთრების განკარგვის უფლება გადაცემული აქვს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო მარეგულირებელი ფუნქციები – საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულ კომისიას. 2007 წლის 15 დეკემბერს, “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მარეგულირებელ კომისიას დაემატა კიდევ ერთი ფუნქცია – სასმელი წყლის მიწოდების და ჩანადენი სითხის გატარება-განმედიის სფეროში სატარიფო რეგულირება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ სფეროს ნაწილობრივი რეგულირების სა-

კითხები (ტარიფების დადგენა) “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” კანონით დარეგულირდა, თუმცა, წყალმომარაგება არ წარმოადგენს ელექტროენერგეტიკისა და გაზის მომიჯნავე სფეროს. ეს ცვლილება გამომდინარეობს წყალმომარაგების საკითხის “დერეგულირების” მიზნიდან, რის შედეგადაც, ადგილობრივ თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებებიდან<sup>4</sup> ამოღებულ იქნა წყალმომარაგების, კანალიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება.

ამის პარალელურად, 2007 წელს განუსხვისებელი სახელმწიფო ქონების ნუსხიდან ამოღებულ იქნა წყალმომარაგების სისტემების სათავე ნაგებობები, წყალსადენის სატუმბავი სადგურები და მაგისტრალური მილსადენები, საკანალიზაციო სისტემების მაგისტრალური კოლექტორები და რეგიონული გამწმენდი სადგურები.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალმომარაგება დღესდღეობით არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებას არ წარმოადგენს და შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ამ სფეროში მოქმედი საწარმოებისათვის რაიმე სახის ფინანსური დახმარების გაწევა არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და მათი მსყიდველუნარიანობის გათვალისწინებით, წყალმომარაგება იყო და რჩება სახელმწიფოს მხრიდან დოტაციურ სფეროდ, თუმცა, ამის უფლება არც ერთი დონის ხელისუფლებას არ გააჩნია.

წყლის სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები აშკარად მიმართულია ამ სფეროს დერეგულირებისკენ

4. “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ორგანული კანონის მე-16 მუხლი.

და შესაბამისად, ცენტრალური ხელისუფლების მიდგომა ამ ობიექტების პრივატიზებას ითვალისწინებს. თუმცა, არ მომხდარა ამ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინება. საქართველოს უმეტეს რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის პრივატიზება შეუძლებელია, რადგან იგი არ არის მიმზიდველი კერძო ინვესტორისთვის.

“ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ” 2005 წლის 25 მარტს მიღებული კანონით, განისაზღვრა ის ქონება, რომელიც უნდა გადასცემოდეთ ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთრებაში. აგრეთვე, დადგინდა ის პროცედურები, რომლის თანახმადაც, ხორციელდება ქონების გადაცემა. თვითმმართველობების ნაწილმა მოითხოვა მის ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო შპს-ების (ეგრეთწოდებული წყალკანალი) წილების ადგილობრივ ქონებად გადმოცემა. აღნიშნულზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ უარი განაცხადა და მალევე, ადგილობრივ თვითმმართველობებს ჩამოერთვათ წყალთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების უფლებამოსილება. თუმცა, ეს ფუნქცია არც ცენტრალურმა ხელისუფლებამ იკისრა.

2008 წლის ბიუჯეტების შედგენის დროს, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ადგილობრივ ბიუჯეტში არ გაითვალისწინეს წყალმომარაგებაზე ხარჯები, რაც განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგია. შესაბამისად, 2008 წლის პირველ კვარტალში საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა და ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო თანხები წყალმომარაგების კომპანიების სუბსიდირებისათვის. საინტერესო ფაქტია, რომ ცენტრალური ხელისუფლება, უმეტეს შემთხვევაში, თავისივე საკუთრებაში არსებულ შპს-ებს პირდაპირ არ ურიცხავს თანხას. ეს თანხები ადგილობრივი ბიუჯეტის



გავლით მიდის ადრესატამდე. საქარო ფინანსების ამგვარი მოძრაობის მიზანშეწონილობის დასადაგენად, აუცილებელია განვიხილოთ სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის თანხების გადაცემის ფორმები. ცენტრალურ ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტს შორის ფინანსური ურთიერთობები ხორციელდება სამი სახის ტრანსფერით, ესენია<sup>5</sup>:

**გამოთანაბრებითი** – ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ კანონით განსაზღვრული ფორმულით, ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. მიღებული სახსრები ექსკლუზიური და ნებაყოფლობითი უფლებამოსილების დასაფინანსებლად გამოიყენება.

**მიზნობრივი** – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები.

**სპეციალური** – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, კონკრეტული კაპიტალური და სხვა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები.

წყალმომარაგების საკითხებზე ვერ მოხ-

5. "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-2 მუხლი.

დება გამოთანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების გამოყენება, რადგან, ეს სფერო არც ადგილობრივი და არც ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებას არ წარმოადგენს. რჩება სპეციალური ტრანსფერი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან წყალმომარაგების სფეროზე თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხვა. ეს ტრანსფერი კი სახელწოდებიდან გამომდინარე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს და იგი წყალმომარაგების სფეროში რეგულარული დაფინანსების საშუალებას არ უნდა წარმოადგენდეს.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2008 წლის ბიუჯეტებში გვხვდება წყალმომარაგების სფეროზე საკუთარი შემოსულობების მიმართვის ფაქტებიც, რაც კანონის დარღვევაა. ამის მიზეზი ადგილობრივი "დამოუკიდებელი" ბიუჯეტების ფინანსთა სამინისტროზე დამოკიდებულების ძალიან მაღალი ხარისხია.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წყალმომარაგების სფეროს "დერეგულირებით" ახალი ინვესტორების მოზიდვა ვერ განხორციელდა, მაგრამ შეიქმნა საკმაოდ დიდი პრობლემა საქარო ფინანსების ხარჯვის მიზნობრიობაში.

დღეს მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ქვეყანაში მოსახლეობის უმეტესობა წყლის გარეშე დარჩება, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების არარაციონალურობას ადასტურებს.

**სენშეკ-ის ძირითადი ფუნქციები და სტრუქტურა**

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია "ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესა-

ხებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით და "საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების" მე-2 მუხლით. შესაბამისად, კომისიის ძირითადი ფუნქციებია:

- "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, აგრეთვე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ლიცენზირების წესებისა და პირობების დადგენა; აგრეთვე, ლიცენზიების გაცემა, მათში ცვლილების შეტანა და გაუქმება; ლიცენზიების პირობების დაცვის კონტროლი და დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;
- ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ საფუძველზე მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად მიწოდებისა და მოხმარების ტარიფების დადგენა და რეგულირება, გარდა ავტოგაზგასამართ სადგურებში რეალიზებული ბუნებრივი გაზის ტარიფებისა;
- ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
- ენერგეტიკაში სერტიფიკაციის სამუშაოთა ორგანიზება და კოორდინაცია;
- წყალმომარაგების ტარიფის დადგენა. როგორც აღვნიშნეთ, წყალმომარაგების სფეროში მარეგულირებელი კომისიის ფუნქციები მხოლოდ წყალმომარაგების ტარიფის დადგენით შემოიფარგლება. თუმცა, ამ

ფუნქციის დამატებით შეიცვალა კომისიის სტრუქტურა და წევრთა რაოდენობა.

2008 წლის 6 ოქტომბერს, "ენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლში შესული ცვლილების შედეგად, კომისიის წევრთა რაოდენობა 3-დან 5-მდე გაიზარდა. შესაბამისი ცვლილება 2009 წლის 19 თებერვალს განხორციელდა მარეგულირებელი კომისიის დებულებაშიც. წევრთა რაოდენობის ზრდა პირდაპირ კავშირშია ფინანსებთან, რადგან მარეგულირებელი კომისიების ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი კომისიის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ხელფასებზეა მიმართული.

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი კომისიების ფუნქციონირების წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი მათი ფუნქციების ეტაპობრივი შემცირებაა, რაც მათივე ბიუჯეტის კლებაზე უნდა აისახებოდეს. საქართველოში კი პირიქით ხდება და მარეგულირებელი კომისიების წევრთა რაოდენობა და ბიუჯეტი საგრძნობლად იზრდება. ყოველივე ეს კი, ტვირთად აწევს ამ სფეროში მოქმედ კომპანიებს და შესაბამისად, ზრდის საბოლოო პროდუქტის ფასს.

თუ გავიხსენებთ პრეზიდენტის ინიციატივით 2 კვირაში გაუქმებულ ტრანსპორტის მარეგულირებელ კომისიას და ამ გაუქმების არგუმენტს, გაუგებარი ხდება კანონში შესული ცვლილება სხვა მარეგულირებლების წევრთა რაოდენობის ზრდის შესახებ. პრეზიდენტის განმარტებით, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია ტვირთად აწვა ამ სფეროში მოქმედ კომპანიებს და ხელოვნურად ახდენდა ფასების რეგულირებას, რაც ხელს უშლიდა ამ სფეროს საბაზრო პრინციპებზე გადაყვანას.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრად ინიშნება საქართველოს მოქალაქე,

რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, დადგენილი ფუნქციების განხორციელებით, სათვით საკმარისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ინიშნება ექვსი წლით. ვადის გასვლის შემდეგ კომისიის წევრი შეიძლება ხელახლა დაინიშნოს აღნიშნულ თანამდებობაზე. თუ კომისიის წევრის თანამდებობა ვადაზე ადრე თავისუფლდება, პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ნიშნავს ახალ წევრს დარჩენილი ვადით.

კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

კომისიის სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. განხილვა შესაძლებელია, თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი მაინც.

კომისიაში მუშაობის პერიოდში, კომისიის წევრი ვალდებულია, შეაჩეროს პოლიტიკური პარტიის წევრობა.

კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის და თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი განსაზღვრულია “ენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით. ამ ნორმის თანახმად, მისი განთავისუფლების უფლება პრეზიდენტს არ გააჩნია, თუმცა, განთავისუფლების ჩამონათვალში მითითებულია ისეთი მიზეზები, რომლის გამოყენებითაც არასასურველი პირების გადაყენება საქართველოში აპრობირებული მეთოდია. მაგალითად, ნებაყოფლობითი გადადგომა და “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევა.

კომისიის აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

- ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტი;
- ბუნებრივი გაზის დეპარტამენტი;
- წყალმომარაგების დეპარტამენტი;
- ტარიფებისა და ფასწარმოქმნის დეპარტამენტი;
- იურიდიული დეპარტამენტი;
- მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტი;
- საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი;
- საქმისწარმოებისა და საკადრო საქმეთა დეპარტამენტი;
- ბუღალტერია;
- სერტიფიკაციის სამმართველო;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
- კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო;
- კომისიის თავმჯდომარის და წევრების აპარატი.

კომისიის სტრუქტურაში შედიან კომისიის მთავარი მრჩეველი და თავმჯდომარის მრჩეველები.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად, კომისიის აპარატისგან დამოუკიდებლად, ჩამოყალიბდა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობა რეგულირების შემადგენელი საქმიანობაა, ფინანსდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში. შესაბამისად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის სამტატო განრიგი და ბიუჯეტი მტკიცდება კომისიის მიერ. საზოგადოებრივი დამცველი ინიშნება დია კონკურსის წესით.

კომისია ვალდებულია, ყოველი დადგენილების ან გადაწყვეტილების მიღებამდე აცნობოს დაინტერესებულ პირებს და მისცეს მათ

კომისიის შესაბამის სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა. იგი უფლებამოსილია, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, გამართოს დახურული სხდომები. კომისიის დახურულ სხდომაზე მიღებული დადგენილება და გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### სენშეკ-ის ფინანსები და მათი განკარგვა

მარეგულირებელ კომისიებთან მიმართებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მათი ფინანსური და ქონებრივი დამოუკიდებლობაა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული მარეგულირებელი კომისია ფინანსურად არ არის დამოკიდებული სახელმწიფოზე. თუმცა, იგი მთლიანად დამოკიდებულია ამ სფეროში მოქმედი კომპანიების მიერ გადახდილ რეგულირების საფასურზე. რეგულირების შესაბამისი საფასური კი ტარიფშია გათვალისწინებული და საბოლოო პროდუქტს აძვირებს. ამასთან ერთად, კომისიის ბიუჯეტის შემოსავლების უმეტეს ნაწილს მსხვილი კომპანიების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური წარმოადგენს, რაც კომისიის მიერ განხილულ დავებში სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას ზრდის.

“ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლით და “საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის” დებულების მე-5 მუხლით, განსაზღვრულია კომისიის ბიუჯეტის ფორმირებისა და განკარგვის წესები.

კომისიის ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა ლიცენზიატებისაგან, იმპორტიორებისა-

გან, მიმწოდებლებისაგან და ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისაგან მიღებული რეგულირების საფასური.

2008 წლის 18 სექტემბრის #24 დადგენილებით ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა “ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის” წესი, რომლის თანახმადაც, რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან: ელექტროენერჯიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების და განაწილების ლიცენზიატები; ასევე, ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო), მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, ბუნებრივი გაზისა და სასმელი წყლის მიმწოდებლები.

რეგულირების საფასური გათვალისწინებულია რეგულირების საფასურის გადამხდელებისათვის დადგენილ ტარიფში, ხოლო რეგულირების საფასურის გადამხდელი პირებისათვის, რომლებიც რეგულირებად საქმიანობას ეწევიან ამ საქმიანობაზე კომისიის მიერ ტარიფის დადგენის გარეშე, რეგულირების საფასური გათვალისწინებულია მათ ხარჯებში.

კომისია ყოველი წლის 1 ოქტომბრისთვის ამტკიცებს შემდეგი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ასახული უნდა იყოს კომისიის ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. კომისიის ბიუჯეტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის. თუმცა, ამ დოკუმენტის კომისიის ვებ-გვერდზე დადება არ ხორციელდება.

რეგულირების საფასურის გადამხდელები ვალდებული არიან ყოველი წლის 15 სექტემბრამდე კომისიას წარუდგინონ შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, მიმდინარე კალენდარული წლის

**ცხრილი 1. რეგულირების კოეფიციენტები**

<b>ელექტროენერგეტიკული სექტორი:</b>	
წარმოების ლიცენზიატი	0.005
გადაცემის ლიცენზიატი	0.005
დისპეტჩინგის ლიცენზიატი	0.005
განაწილების ლიცენზიატი	0.005
იმპორტიორი	0.0025
ექსპორტიორი	0.005
ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი	0.005
მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური	0.005
<b>ბუნებრივი გაზის სექტორი:</b>	
მიმწოდებელი	0.005
ტრანსპორტირების ლიცენზიატი	0.005
განაწილების ლიცენზიატი	0.005
<b>წყალმომარაგების სექტორი:</b>	
მიმწოდებელი	0.005

**წყარო:** საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია, www.gnerc.org

ფაქტობრივი და მომავალი კალენდარული წლის საპროგნოზო მოცულობების თაობაზე<sup>6</sup>.

კომისია მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ყოველი კალენდარული წლის 1 ნოემბრამდე, დაიანგარიშებს მომავალი წლის საპროგნოზო რეგულირების საფასურს, მათ მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე.

რეგულირების საფასური უნდა გაანგარიშდეს ისე, რომ მთლიანად ფარავდეს კომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კალენდარული წლის განმავლობაში შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტს.

რეგულირების საფასური ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ამ ანგარიშზე არსებულ თანხებს განკარგავს მხოლოდ კომისია.

წლის განმავლობაში გამოუყენებელი თანხები გადაიტანება შემდგომი წლის ანგარიშზე, ამ წლის რეგულირების საფასურის შესაბამისი შემცირებით. კომისია უფლება-

6. „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის“ წესი, მუხლი 4.

მოსილია, საჭიროების შემთხვევაში აიღოს სესხი. ამ სესხისა და შესაბამისი პროცენტის გასტუმრება ხორციელდება შემდეგი წლის რეგულირების საფასურიდან.

2009 წლის მდგომარეობით, რეგულირების კოეფიციენტები შემდეგნაირადაა განსაზღვრული (იხ. ცხრილი 1).

ლიცენზიატის, იმპორტიორის, ექსპორტიორის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების, ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისა და მიმწოდებლის მიერ გადასახდელი რეგულირების საფასურის წლიური მინიმალური სიდიდე განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარით, მაგრამ არა უმეტეს კანონით შეზღუდული რეგულირების საფასურის ოდენობით.

დასაშვებია კომისიის დასაფინანსებლად გრანტებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრების გამოყენება.

რეგულირების საფასური შედის ლიცენზიატების, იმპორტიორების, მიმწოდებლების და ელექტრო-ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ წარმოებული პროდუქციის ან/და განუული მომსახურების ღირებულებაში.

**ცხრილი 2. სენშეკ-ის ბიუჯეტი 2006-2007 წლებში**

	<b>2006 წელი</b>	<b>2007 წელი</b>
ხელფასები	927.996	1.218.424
დანარიცხები ხელფასებზე	185.807	243.685
მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ფონდები	582.625	1.151.441
დანარიცხები სტიმულირებისა და დახმარების ფონდებზე	116.525	130.288
<b>ჯამი</b>	<b>1.812.953</b>	<b>2.743.838</b>


**წყარო:** საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია, www.gnerc.org

რეგულირების საფასურის გადამხდელები ვალდებული არიან, შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად დაფარონ კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასურის 30% ყოველი კალენდარული წლის პირველი კვარტლის განმავლობაში და 35-35% მომდევნო ორი კვარტლის განმავლობაში იმგვარად, რომ შესაბამისი რეგულირებადი საქმიანობასთან დაკავშირებით, რეგულირების საფასურის 100%-ის ანაზღაურება განხორციელდეს ყოველი კალენდარული წლის 1 ოქტომბრამდე<sup>7</sup>.

კომისია ყოველწლიურად, 31 მარტამდე, ამზადებს და აქვეყნებს გასული წლის ფინანსურ ანგარიშს.

საინტერესოა, განვიხილოთ ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ბოლო წლების ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯების ძირითადი პუნქტები.

**დიაგრამა 1. მარეგულირებელი კომისიის შემოსავლები (ლარი)**



**წყარო:** საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია, www.gnerc.org

7. „ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის და წყალმომარაგების სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშების და გადახდის“ წესი, მუხლი 7.

როგორც დიაგრამიდან 1. ჩანს, ბოლო წლებში მარეგულირებლის შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა, რაც ძირითადად ელექტროენერჯიასა და ბუნებრივ გაზზე საფასურის საგრძნობი მატებით არის გამოწვეული. 2007 წლიდან, წყლის ტარიფის რეგულირებაც კომისიის კომპეტენციას მიეკუთვნება და შესაბამისად, გაიზარდა მარეგულირებლის ბიუჯეტი.

დღეს არსებული სატარიფო პოლიტიკის და რეგულირების საფასურის გაანგარიშების მეთოდების შედეგად, მარეგულირებელი კომისია დაინტერესებულია ფასების მატებით, რადგან მისი “წილი” ტარიფში პროცენტულადაა ასახული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ელექტროენერჯეტიკისა და გაზის სექტორის საკმაო განვითარებისა, რეგულირების საფასური არ იკლებს და კანონით დადგენილ მაქსიმუმს შეადგენს.

მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის ხარჯების უმეტესი ნაწილი კომისიის წევრების და თანამშრომლების ხელფასებზეა გათვალისწინებული. ბიუჯეტში, ხელფასების მუხლთან ერთად, არსებობს მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ფონდები, რომლებიც 2007 წელს მილიონ ლარზე მეტს შეადგენდა. ხელფასები და მატერიალური სტიმულირების ფონდების ჯამი, საშუალოდ, მთლიანი ბიუჯეტის 65-70 პროცენტს შეადგენს.

2007 წელს, ისევე როგორც 2006 წელს, მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ათვისება ვერ მო-

ხერხდა და მომდევნო წელს გადატანილი იქნა ნაშთი, რომელიც 2006 წლის ბიუჯეტში 128.493 ლარით განისაზღვრა (2005 წლის ბიუჯეტის 6,3 პროცენტი) და 2007 წლის ბიუჯეტში 324.510 ლარით (2006 წლის ბიუჯეტის 11,3 პროცენტი).

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლით დარეგულირებულია წინა წლის ნაშთის მომდევნო წლის ბიუჯეტში გადატანის პროცედურა, კერძოდ: “კომისიის მიერ წლის განმავლობაში გამოყენებული თანხები გადაიტანება მომავალი წლის ანგარიშზე, რეგულირების საფასურის შესაბამისი შემცირებით”. როგორც აღვნიშნეთ, 2006 წელს კომისიას “მორჩა” ბიუჯეტის 11,3 პროცენტი, თუმცა, რეგულირების საფასურის შემცირება არ განხორციელდა, რაც კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

**მომხმარებელთა ინტერესების დაცვა**

2003 წლის 22 ივლისის “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ენერგომომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან შეიქმნა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომელიც არ შედის აპარატის შემადგენლობაში. ეს სამსახური ფინანსდება მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში ცალკე მუხლად.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს:

- შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენა და მათი შედეგები;

- მიიღოს მონაწილეობა იმ ნორმატიული აქტების შექმნასა და მიღებაში, რომლებმაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს მომხმარებელთა ინტერესებზე და სხვა.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის 2006 და 2007 წლის ანგარიშების გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა კომპანიების და მათი მფლობელების მიერ ხორციელდება ერთი და იმავე ტიპის დარღვევები: კომუნალური მრიცხველების მიხედვით თანხების არასწორი დარიცხვა; მრიცხველების შეცვლის მოთხოვნა აბონენტების ხარჯზე; დავალიანების რესტრუქტურირებაზე დაუსაბუთებელი უარი და სხვა.

თუმცა, მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი არ აფიქსირებს თავის პოზიციას რეგულირების საფასურის წლების განმავლობაში უცვლელად დატოვებისა და მარეგულირებლის ბიუჯეტის ყოველწლიურად ზრდასთან დაკავშირებით. ეს ლოგიკურიცაა, რადგან იგი ამავე ბიუჯეტიდან ფინანსდება. ხოლო რეგულირების საფასურის შემცირებლობა პირდაპირ აზიანებს მომხმარებელთა ეკონომიკურ უფლებას.

საინტერესოა, ვნახოთ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის, რომელიც 2007 წლის ბოლოსათვის 4 თანამშემწისგან შედგებოდა, ფინანსები. 2007 წელს ამ სამსახურმა 151.132 ლარი დახარჯა, საიდანაც 130.850 (87%) სახელფასო ფონდია.

კომისიის ფინანსების განხილვის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი ვერ იქნება მომხმარებელზე ორიენტირებული, რადგან სამომხმარებლო ფასის დაკლების შემთხვევაში, შემცირდება კომისიის ბიუჯეტი, რაც პირდაპირ აისახება ამ გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე.

ამის ნათელი მაგალითია 2008 წელს ბუნებრივ გაზზე სამომხმარებლო ტარიფის უც-

ვლელად შენარჩუნება. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2006 წელს მიიღო #30 დადგენილება, რომლის თანახმადაც, გაზის საფასური მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიზეზად დასახელდა 2006 წლის 1 იანვრიდან რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის მკვეთრი ზრდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დროისათვის ქვეყანა ძირითადად რუსულ გაზს მოიხმარდა და ეს გადაწყვეტილებაც ლოგიკური იყო. ამის შემდგომ, 2007 წელს, კვლავ გაიზარდა გაზის საფასური, რადგან რუსეთის ფედერაციამ თითქმის გააორმაგა საქართველოსთვის მიწოდებული გაზის საფასური. ამ დროისათვის, საქართველო აზერბაიჯანიდანაც იღებდა გაზს და ამის გათვალისწინებით, 2007 წლისათვის, გაზის ერთიანი საშუალო ფასი 1000მ3-ზე 167 აშშ დოლარით განისაზღვრა.

მომდევნო წლებში, საქართველოს ხელი-სუფლების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ნათელი გახდა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, საქართველო აზერბაიჯანიდან შეღავათიან ფასში მიიღებდა გაზს. 2008 წელს კი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, საქართველოში თითქმის აღარ შემოდიოდა რუსული ძვირი გაზი და შედარებით იაფ აზერბაიჯანულ გაზს მოვიხმარდით. რაც გაზის საშუალო “შენიღილ” ფასს საკმაოდ ამცირებს. მიუხედავად ამ ფაქტისა, მარეგულირებელმა კომისიამ არ გადახედა გაზის ტარიფს, რაც საკმაოდ ბევრ ეჭვს ბადებს საზოგადოებაში.

მარეგულირებელი არ არის დაინტერესებული მომხმარებლების ინტერესების დაცვით, რადგან არსებული საკანონმდებლო ბაზიდან გამომდინარე, მომხმარებლის ინტერესი და კომისიის “ინტერესი” ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

**დერეგულირება და ნაწილობრივი დერეგულირება**

“ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს დასარეგულირებელ სფეროებში კონკურენციის განვითარება და მათი ეტაპობრივი დერეგულირება წარმოადგენს.

ამავე კანონით, დერეგულირება და ნაწილობრივი დერეგულირება შემდეგნაირადაა განმარტებული<sup>8</sup>:

**დერეგულირება** – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, წარმოების ლიცენზიანტისათვის ტარიფის დადგენის გარეშე ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიისა და ტარიფის დადგენის გარეშე, საქმიანობის უფლების მინიჭება; აგრეთვე, ბუნებრივი გაზის მიწოდების ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის, ასევე ახალი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ან განაწილების ქსელების აშენების შემთხვევაში, შესაბამისად, ტრანსპორტირების ან განაწილების ტარიფის დადგენის გარეშე საქმიანობის უფლების მინიჭება.

**ნაწილობრივი დერეგულირება** – ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე წარმოების ლიცენზიანტისათვის ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის ან მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისათვის ლიცენზიის გარეშე და ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის უფლების მინიჭება, აგრეთვე ბუნებრივი გაზის მიწოდების ზღვრული ტარიფის დადგენით საქმიანობის, ასევე ახალი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ან განაწილების ქსელის აშენების შემთხვევაში, შესაბამისი ტრანსპორტირების ან განაწილების ზღვრუ-

8. “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჯ“ და „ჰ“ ქვეპუნქტი.



ლი ტარიფის დადგენით საქმიანობის უფლებების მინიჭება.

ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 აპრილის #30 ბრძანებით, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებზე განხორციელდა დერეგულირება.

ამავე მიზნის მისაღწევად, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2008 წლის 28 ოქტომბრის #92 ბრძანების 2008 წლის 1 აგვისტოს შემდეგ ამუშავებული ყველა ელექტროსადგური გამოცხადდა დერეგულირებულად.

ამ საქმიანობების დერეგულირება შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან ისინი ერთადერთი არ არიან თავიანთ სფეროში.

საინტერესოა გაზის სექტორში განხორციელებული დერეგულირება და ნაწილობრივი დერეგულირება, რადგან ამ შემთხვევაში გაზის მიწოდებასთან გვაქვს საქმე, რომელიც, ისევე როგორც წინა წლებში, ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის #69 ბრძანების საფუძველზე, ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა გამოცხადდა დერეგულირებულად, გარდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში საცალო მომხმარებლისათვის გაზის მიწოდების საქმიანობისა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე არსებული საცალო მომხმარებლისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობისა. ანუ, თბილისის ტერიტორიაზე, ამ ბრძანების თანახმად, დერეგულირება საცალო მომხმარებელს არ შეეხება, ხოლო რეგიონებში, ამ ბრძანების გამოცემის შემდეგ ახალი მომხმარებლისათვის გაზის მიწოდება დერეგულირებულია.

2008 წლის 24 ივლისს, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის #69 ბრძანებაში შევიდა

ცვლილება და ბუნებრივი გაზის საქმიანობა გამოცხადდა დერეგულირებულად, გარდა 2008 წლის 1 აგვისტომდე არსებული ბუნებრივი გაზის მომხმარებელი იმ ფიზიკური პირებისათვის (მოსახლეობა – საყოფაცხოვრებო მომხმარებელი), რომლებიც ბუნებრივ გაზს არ მოიხმარენ სამეწარმეო საქმიანობისათვის, იმ პირების გამოკლებით, რომლებიც ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა დერეგულირებულ იქნა 2008 წლის 1 აგვისტომდე.

დერეგულირების შედეგად, ქ. თბილისში 2008 წლის 1 აგვისტომდე და დანარჩენ საქართველოში 2007 წლის 25 აპრილამდე არსებული გაზის მომხმარებელი ფიზიკური პირების გარდა, ყველა მომხმარებლისათვის გაზის მიწოდება დერეგულირებულია. ანუ, მიმწოდებელს დამოუკიდებლად შეუძლია დაადგინოს მიწოდებული გაზის საფასური და იგი სატარიფო რეგულირებას აღარ ექვემდებარება. მომხმარებელმა კი, ან უნდა მიიღოს ეს ფასი ან შეწყვიტოს გაზის მოხმარება.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საკმაოდ განსხვავდება ძველი და ახალი მომხმარებლისთვის ტარიფი. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი აბონენტებისა და იურიდიული პირებისათვის (მათ შორის საწარმოები) გაზის საფასური საგრძობლად გაიზარდა.

ეს საკმაოდ გაუმართლებელი გადაწყვეტილება იყო, რადგან, ბუნებრივი მონოპოლიის შემთხვევაში, სატარიფო რეგულირების მოხსნა დაუშვებელია.

ამასთან ერთად, იმის თქმა, რომ ეს ცვლილება არ ეხება ძველ მომხმარებელს, ტყუილია, რადგან ბუნებრივი გაზის საფასურის გაძვირება საწარმოებისათვის, გამოიწვევს ისედაც მცირე მოცულობის ეროვნული წარმოების კიდევ უფრო გაძვირებას. ერთის მხრივ, ყველა მომხმარებელს გაუძვირდება

პროდუქცია და, მეორეს მხრივ, ეროვნული პროდუქცია კიდევ უფრო კონკურენტუნარო გახდება იმპორტირებულ პროდუქციასთან შედარებით.

არც იმის მტკიცებაა მიზანშეწონილი, რომ ქვეყანაში სხვადასხვა მიმწოდებელი არსებობს და მომხმარებელსაც არჩევანის საშუალება გააჩნია. უძრავი ქონების გაყიდვა ან გაცვლა ამ მიზნით წარმოუდგენელია.

ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება აგრეთვე შეუსაბამობაშია პრეზიდენტის ცნობილ დაპირებასთან, რომელიც ყველა სოფელში გაზიფიცირებას ისახავს მიზნად. შედეგად მივიღებთ გაზის მიღებას სოფლების უმეტესობაში და მიმწოდებლის მიერ დადგენილ მონოპოლიურ ფასს, რომლის გადახდა რამდენიმე ოჯახს თუ შეეძლება. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კოლოსალური თანხების ხარჯვა გაუმართლებელი ხდება.

ეს გადაწყვეტილება ნეგატიურად აისახება სამშენებლო ბიზნესსა და ეკონომიკის სხვა დარგებზე.

### კომუნიკაციების სფეროს რეგულირება

#### საქმიანობის საფუძველი და კომისიის წევრობა

კომუნიკაციების სფეროს საქართველოში არეგულირებს “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, “მაუწყებლობის შესახებ”, “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” და “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონები, ასევე მათ საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე აქტები.

“დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” საქართველოს კანონის და “საქართველოს

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 29 ივნისის #326 ბრძანებულების შესაბამისად, კომუნიკაციების სფეროს რეგულირებას ახორციელებს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. აღნიშნული კომისია, ისევე როგორც სენეკ, არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. იგი დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოების, უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და არ არის დაფუძნებული სახელმწიფო ქონების ბაზაზე.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 5 წევრით, რომლებიც ირჩევიან 6 წლის ვადით ღია კონკურსის საფუძველზე. მაგრამ ეს წესი, “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შედეგად, არ ვრცელდება ყველა წევრზე. წევრობის კანდიდატობისთვის 3 სახელდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, ხოლო 3 წევრი იმ ფრაქციების მიერ, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში. მათგან თითო-თითოს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად. დანარჩენი 3 წევრი კი, შეირჩევა წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემდეგ, კანდიდატებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი კომისიის ერთ-ერთ წევრს ნიშნავს კომისიის თავმჯდომარედ. ამდენად, **საკმაოდ დიდია საქართველოს პრეზიდენტის წვლილი კომისიის ფორმირების პროცესში. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი ვერ იქნება დამოუკიდებელი და ის მუდმივად თავს იგრძნობს დამნიშნავი პირის წინაშე ანგარიშვალდებულად, რაც კომისიის დამოუკიდებლობის ხარისხს ამცირებს.**

**კომისიის ძირითადი ფუნქციები და სტრუქტურა**

„კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ძირითად უფლება-მოვალეობებს და ფუნქციებს წარმოადგენს:

- საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ლიცენზირების პირობების დადგენა, კანონით დადგენილი წესით ლიცენზიების გაცემა, მოდიფიცირება, მოქმედების ვადების გაგრძელება, შეჩერება და გაუქმება;
- საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის ქსელებით მომსახურებაზე ბლვრული ტარიფების დადგენა და მათი რეგულირება;
- კავშირგაბმულობისა და ფოსტის საშუალებების სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია და მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა;
- კავშირგაბმულობის ქსელების ურთიერთჩართვების ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების რეგულირება;
- რადიოსიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება სამინისტროსა და დაინტერესებული უწყებების მონაწილეობით;
- რადიოსიხშირეების მინიჭება;
- კონკურენტული გარემოს შექმნის ხელშეწყობა;
- კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ლიცენზიების მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ლიცენზიების პირობების დაცვის ზედამხედველობა და მათი დარ-

ღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

- საზოგადოებასთან ღია, საჯარო და გამჭვირვალე ურთიერთობა;
- კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნის მიზნით, მონოპოლიურ მდგომარეობასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმების დადგენა, მათ შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- ნუმერაციის რესურსის გამოყოფის პირობებისა და წესების განსაზღვრა და ნუმერაციის რესურსის განაწილება.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს კომისიის ფუნქციებს მაუწყებლობის სფეროში, კერძოდ:

- მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებების შემუშავება საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით და განხორციელებაზე ზედამხედველობა-კონტროლი;
- სალიცენზიო პირობების დადგენა, ლიცენზიების გაცემის მოდიფიცირება, ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და განახლება, ლიცენზიების გაუქმება;
- სიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება კანონით განსაზღვრული წესით;
- სიხშირეების მინიჭება;
- ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი; კანონის მოთხოვნებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელებისათვის შესაბამისი სანქციების დაკისრება;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კონკურენტული გარემოს შექმნისა და

განვითარების ხელშეწყობა, სალიცენზიო გადასახდელისა და რეგულირების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის განსაზღვრა;

- საავტორო და მომიჯნავე უფლებების, მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ და რეკლამის შესახებ საკანონმდებლო აქტების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;
- ლიცენზიის მფლობელთა შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სამართლებრივი აქტების მიღება. კომისიას საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად ჰყავს აპარატი, რომელიც შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:
  - ადმინისტრაცია;
  - სტრატეგიული დაგეგმვის სამსახური;
  - მონიტორინგის სამსახური;
  - ფინანსური სამსახური;
  - სატელეკომუნიკაციო და საფოსტო ბაზრის რეგულირების სამსახური;
  - სამართლებრივ საკითხთა სამსახური;
  - უნივერსალური მომსახურების სამსახური;
  - სიხშირული რესურსების მართვისა და სტანდარტიზაციის სამსახური;
  - მაუწყებლობის მონიტორინგის სამსახური. სულ კომისიაში, 2006 წლისთვის, ადმინისტრაციული პერსონალის ჩათვლით, 69 თანამშრომელი მუშაობდა, ხოლო 2009 წლისთვის, მათი რაოდენობა 7 ერთეულით გაიზარდა.

**კომისიის ბიუჯეტი**

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ბიუჯეტის ფორმირების უმთავრესი წყაროა **რეგულირების საფასური**, რომელსაც

იხდიან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს რეგულირების სფეროში საქმიანობის მწარმოებელი კომპანიები (ზოგიერთი დაწყებამდე, ზოგიერთი – დაწყების შემდგომ, პერიოდულად). რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები. რეგულირების საფასურის ოდენობაა ლიცენზიის მფლობელის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,5 პროცენტი<sup>9</sup>.

“დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით, კომისიის მიერ რეგულირების საფასური ისე უნდა დადგინდეს, რომ საკმარისი იყოს კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად. ამასთან, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრები გადადის მომდევნო წლის ანგარიშში და გაითვალისწინება რეგულირების საფასურის ცვლილებისას. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი უნდა შედგებოდეს უფლებამოსილების განხორციელებისათვის ყოველწლიურად აუცილებელი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯებისაგან, ასევე, ფინანსური აუდიტის მოწვევასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

თუ გავაანალიზებთ კომისიის ბოლო წლების ბიუჯეტებს, იკვეთება შემდეგი საინტერესო ტენდენციები:

- კომისიის ჯამური შემოსავლების მოცულობა გარკვეული უთანაბრობით ხასიათდება და მას წინა წელთან შედარებით ზოგიერთ წელიწადს ზრდა, ხოლო ზოგიერთ წლებში შემცირება ახასიათებს;
- კომისიის შემოსავლების დაგეგმვასთან დაკავშირებით, არსებობს პროგნოზირების პრობლემა და მუდმივად ხდება და-

<sup>9</sup>. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

**ცხრილი 3. კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ბიუჯეტი**

ათასი ლარი	2005		2006		2007	
	დამტკ.	ფაქტი	დამტკ.	ფაქტი	დამტკ.	ფაქტი
<b>ჯამური შემოსავლები</b>	<b>6,440.7</b>	<b>9,934.0</b>	<b>5,200.0</b>	<b>6,386.4</b>	<b>5,760.0</b>	<b>6,499.0</b>
სარეგულაციო ფონდი (გარდამავალი ნაშთი) 1 იანვრის მდგომარეობით		2,440.6		2,335.9		1,200.0
სარეგულაციო ფონდის წილი დაგეგმილ მთლიან ბიუჯეტში		24.4		75.5		18.5
<b>ჯამური ხარჯები</b>	<b>6,225.0</b>	<b>5,114.6</b>	<b>5,074.7</b>	<b>6,491.1</b>	<b>6,656.7</b>	<b>6,261.7</b>
შრომის ანაზღაურება	2,005.4	1,995.1	2,553.9	2,515.5	3,144.0	3,069.0
მივლინება	100.0	158.7	100.0	151.1	120.1	150.2
ავტომატური შექმნა-შენახვა	70.0	67.3	70.0	140.5	80.0	123.4
კომუნიკაცია, ელ.ენერგია, გაზი და წყალი	100.0	108.2	120.0	191.4	180.0	230.6
კონფერენციები და სემინარები	50.0	30.4	80.0	31.5	34.7	46.0
საკანცელარიო, საფოსტო და ურნალ-გაზეთების ხარჯები	60.0	88.0	50.0	42.9	50.0	48.3
წარმომადგენლობითი ხარჯები	10.0	19.7	10.0	6.4	15.0	10.7
მიმდინარე რემონტის ხარჯები	250.0	134.1	60.0	0.0	70.0	5.0
საბიუჯეტო ანარიცხები	621.7	399.0	510.8	503.1	0.0	0.0
ძირითადი საშუალებების შექმნა	2,500.0	1,681.2	1,300.0	2,558.0	2,600.0	2,267.0
მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური	249.9	148.3	40.0	1.4	152.7	102.3
სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	80.0	55.2	50.0	6.5	50.0	22.0
სხვა საერთო ხარჯები	80.0	202.8	100.0	322.0	100.0	139.6
დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ შედის წინა ჯგუფებში	48.0	26.6	30.0	20.8	60.2	47.6

**წყარო:** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, [www.gncc.ge](http://www.gncc.ge)

გეგმილ შემოსავლებზე გაცილებით მეტის მიღება, რაც, შესაბამისად, კომისიას ხარჯების გაზრდის საშუალებას აძლევს. მაგ. მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს კომისიამ დაგეგმილზე 54,2%-ით მეტი შემოსავლები მიიღო, მომდევნო წელს წინა წლის საპროგნოზო მაჩვენებლებზე ნაკლები დაგეგმა;

- კომისიის შემოსავლების მოცულობიდან გამომდინარე, მას მუდმივად რჩება დაუხარჯავი თანხა (ე.წ. გარდამავალი ნაშთი). 2006 წლისთვის, გარდამავალი ნაშთი დაგეგმილი ბიუჯეტის 75,5% შეადგინა. მიუხედავად გარდამავალი ნაშთის მოცულობისა, კომისია არ ახორციელებდა რეგული-


რების საფასურის გადახედვას შემცირების მიმართულებით, არადა ეს მის პირდაპირ ვალდებულებას განეკუთვნებოდა;

- კომისიის ბიუჯეტის ყველაზე დიდი წილი შრომის ანაზღაურებაზე და ძირითადი საშუალებების შექმნაზე იხარჯებოდა. 2005 წელს ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯების 39% შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა, 2006 წელს - 38,7%, ხოლო 2007 წელს - 49%, ანუ ბიუჯეტის თითქმის ნახევარი. 2005 წელს ძირითადი საშუალებების შექმნაზე დაიხარჯა ბიუჯეტის 32,9%, 2006 წელს - 39,4%, ხოლო 2007 წელს - 36,2%;
- თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2005 წელს კომისიაში 69 თანამშრომელი მუ-

შაობდა და შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 1995,1 ათასი ლარი, საშუალოდ ერთ დასაქმებულზე წლის განმავლობაში გაცემულია 28914,5 ლარი, რაც ყოველთვიურად 2409,5 ლარს შეადგენს. 2008 წლისთვის მოხდა თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა, თუმცა, ამის კვალობაზე 2007 წელს საკმაოდ გაიზარდა სახელფასო ფონდის მოცულობაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პერიოდში კომისიაში 76 თანამშრომელი მუშაობდა და შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 3069,0 ათასი ლარი, საშუალოდ ერთ დასაქმებულზე წლის განმავლობაში გაცემულია 40381,5 ლარი, რაც ყოველთვიურად 3365,1 ლარს შეადგენს;

- მუდმივად გადახარჯვას აქვს ადგილი სამივლინებო თანხებში და ის სულ მცირე 50%-ით მეტია დაგეგმილზე. გადახარჯულია ასევე კომუნიკაციის, ელ.ენერგიის, გაზისა და წყლის ხარჯები. როცა წინა წელს კომისიას არ ჰყოფნიდა ხარჯები, გადახარჯვას ჰქონდა ადგილი და მომდევნო წელს წინა წლის ფაქტიურ ხარჯებზე ნაკლები მოცულობით გეგმავდა; ეს, უბრალოდ, ცუდ დაგეგმვაზე მიუთითებს.

**დიაგრამა 2. კომისიის შემოსავლები, ხარჯები და გარდამავალი ნაშთი**



**წყარო:** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, [www.gncc.ge](http://www.gncc.ge)

**მომხმარებელთა უფლებების დაცვა**

საკომუნიკაციო მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად<sup>10</sup>, კომისიასთან შექმნილია **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური**. საზოგადოებრივი დამცველის უფლებამოსილებებში შედის:

- დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები;
- შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენის შედეგები;
- გამოვიდეს მხარედ მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა სახელით;
- გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას თუ მასალას, რომელიც კანონმდებლობით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიის მიერ გასაცნობად;
- წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში;
- მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

კომისიის 2005 და 2006 წლების ანგარიშებიდან ჩანს, რომ მრავალ სხვა პრობლემას შორის, ყველაზე მეტად მომხმარებელთა მხრიდან შემოსული საჩივრების ხასიათი ეხება შემდეგ პრობლემებს:

- საკაბელო მეურნეობის ქურდობა-დატაცების მიზეზით სატელეფონო მომსახურების შეწყვეტა;
- ხაზების დაუცველობა და მესამე პირთა მიერ აბონენტის ხაზში უკანონოდ შეღწევა;

10. ვალდებულება არსებობს `დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიების შესახებ` საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტით.

- ინტერნეტით ე.წ. ვირუსული პროგრამების საშუალებით მომხმარებლის ნებართვის გარეშე საერთაშორისო ბარების განხორციელება;
  - უხარისხო სატელეფონო მომსახურება, დაუსაბუთებელი ანგარიშების გამოწერა და ტელეფონების გათიშვა;
  - მომხმარებელთა ინფორმირებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
  - მაუწყებლობის დარგში არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის თაობაზე ზომების განხორციელებლობა.
- აღნიშნული ხასიათის დარღვევები საკმაოდ მასშტაბურია, პერმანენტულ ხასიათს ატარებს, თუმცა 2007 წლის ანგარიშში არ არის დარღვევების თაობაზე მითითებული.
- საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობა რეგულირების შემადგენელი საქმიანობაა; ფინანსდება მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში. ამასთან, საზოგადოებრივი დამცველი ინიშნება ღია კონკურსის წესით, მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარის ბრძანებით. ამდენად, საზოგადოებრივი დამცველი, რომელიც ინიშნება მარეგულირებელი ორგანოს უფროსის ბრძანებით და ფინანსდება ამავე კომისიის ბიუჯეტიდან, ვერ იქნება დამოუკიდებელი პირი. როცა დავა, შესაძლოა, მარეგულირებელ კომისიასა და სერვისის მიმწოდებელ კომპანიას შორის იყოს და გასაჩივრდეს დამცველთან, დამცველი ძნელად თუ მიიღებს გადაწყვეტილებას კომისიის საწინააღმდეგოდ. ან კიდევ, თუ დავა იქნება სერვისის მიმწოდებელსა და კლიენტს (მოქალაქეს) შორის, დამცველი ძნელად თუ მიიღებს გადაწყვეტილებას იმ კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც რეგულირების საფასურს უხდის (აფინანსებს) მარეგულირებელ კომისიას.

მომხმარებელთა უფლებების დარღვევებს საკმაოდ მრავლად აქვს ადგილი და კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისია, ხშირ შემთხვევაში, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება. მაგალითად, 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა საქართველოს ბაზარზე მოქმედ ორ უმსხვილეს ინტერნეტ-პროვაიდერს “კავკასუს ონლაინსა” და “გაერთიანებული ტელეკომს” შორის. დავის მიმდინარეობის პროცესში ე. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა “კავკასუს ონლაინის” მიერ აშენებული “ჯეი ლინკის” დემონტაჟი, რის შედეგადაც, ამ კომპანიის ინტერნეტ-აბონენტები ინტერნეტის გარეშე დარჩა. პროცესებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩაერთა და მხარეებს მორიგებისკენ (ხელშეკრულების გაფორმებისკენ) მოუწოდა, რასაც კომუნიკაციების ეროვნული კომისია მათგან თვეების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდა. ამასთან, ეს კომისია ხშირ შემთხვევაში დუმის ამჯობინებდა და განმარტება მაშინაც კი არ გაუკეთებია, როცა თბილისის უდიდესი ნაწილი ინტერნეტის გარეშე იყო დარჩენილი<sup>11</sup>.

**საქმიანობის გამჭვირვალობა და საჯაროობა**

“დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისიების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია ყოველწლიურად ამზადებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ატარებს ფინანსურ აუდიტს დამოუკიდებელი აუდიტორის მეშვეობით. კომისია საჯაროდ აქვეყნებს თავისი საქმიანობის ანგარიშს და ფინანსური აუდიტის შედეგებს. კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვს 2005-2007

11. <http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=1889&ct=6>  
<http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=1932&ct=6>

წლების საქმიანობის ანგარიშები, რომელთაგან 2007 წლის ანგარიშს არ ახლავს აუდიტის დასკვნა. 2005 და 2006 წლების ანგარიშებზე თანდართული დასკვნები არაინფორმატიულია და მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებს. აუდიტის დასკვნებში არ ჩანს ის აშკარა შენიშვნები, რომლებიც, წესით, დამოუკიდებელ აუდიტორს უნდა მიეთითებინა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის (რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.) კომისიის ფინანსების ანალიზის ჩატარებისას.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით, კომისიის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მაუწყებლობის სფეროს, სხვა ინფორმაციასთან ერთად, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებისა და კომისიის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ. კომისიის უკანასკნელი წლების ანგარიშების ანალიზიდან არ ჩანს, რომ კომისიის მიერ განხორციელდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა და არც კომისიის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციაა მოცემული. შესაბამისად, კომისიის საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეუძლებელია და ამით გამჭვირვალობის პრინციპებიც ირღვევა.

სულ ახლახანს დასრულდა კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრების შერჩევა ხდება ღია კონკურსით<sup>12</sup>, კონკურსის თაობაზე განკარგულებას გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი და კომისიის წევრობის შერჩევა მაქსიმალურად გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს, არც

12. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდა საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის მიერ დასახელებული კანდიდატებისა.

საქართველოს პრეზიდენტის ვებ-გვერდზე და არც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ვებ-გვერდზე კონკურსის გამოსხადების თაობაზე არც განცხადება გამოქვეყნებულა და არც საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება.

**დავების განხილვა**

2007 წელს კომისიაში განხილული იქნა 18 დავა, რომელთაგან 13 დავაში ერთ-ერთ მხარედ მონაწილეობდა “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია”. როგორც ვხედავთ, დავების ერთ-ერთ მხარედ მუდმივად “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის” ყოფნა კომისიის მხრიდან სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს და ადეკვატური რეაგირებაც მოჰყვეს. აღნიშნული კომპანიის შესახებ საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი შემდეგ ინფორმაციას აქვეყნებს<sup>13</sup>:

სააქციო საზოგადოების “საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია” აქციის ფასი გარკვეული პერიოდი ბირჟაზე ისე ივაჭრებოდა, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშიც კი არ არსებობდა არც ბირჟაზე და არც კომისიაში. თუმცა, აქციის მიმართ მზარდი ინტერესი დაფიქსირდა. ფასი “დარბოდა” 0.20 ლარიდან 1.05 ლარამდე და ვერანაირი ლოგიკის ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა. ყველაზე საკამათო გარიგება ამ აქციაზე წლის ბოლოს შედგა, როდესაც, ჩვენი აზრით, სატენდერო შეთავაზების თავიდან აცილების მიზნით მოხდა აქციათა საერთო რიცხვის 40%-ის გადასვლა ერთი კომპანიიდან მეორეს საკუთრებაში. ამ ოპერაციით სს “საქართველოს გაერთიანებული სატელეკო-

13. „საქართველოს საფონდო ბაზრის მიმოხილვა“, საქართველოს საინვესტიო ჯგუფი, 2006 წლის მიმოხილვა, [www.investgroup.ge/padmin/ge/research\\_main\\_page/files/saqartvelos\\_safondo\\_bazari\\_2006\\_weli.pdf](http://www.investgroup.ge/padmin/ge/research_main_page/files/saqartvelos_safondo_bazari_2006_weli.pdf)



მუნიციპალიტეტის კომპანიის” 40% წილი გასხვისდა (თანაც თითო აქცია 2.138 ლარში!) და ამ გარიგებამ საქართველოს საფონდო ბირჟის 2006 წლის აქციების ბრუნვის 61.33% და ფულადი ბრუნვის 53% შეადგინა. აქვე დავძენთ, რომ 2006 წელს, ამ აქციაზე 1973 გარიგება დაფიქსირდა, რაც გარიგებათა საერთო რიცხვის 35%-ის ტოლფასი იყო...

საკმაოდ საინტერესო მექანიზმთან გვაქვს საქმე, როდესაც კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში იხილება დავა ორ კომპანიას შორის (სერვისის მიმწოდებელი კომ-

პანიები). რადგანაც დავა კომისიაში იხილება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოდავე მხარეები კომისიის რეგულირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას ახორციელებენ და შესაბამისად, კომისიას უხდია რეგულირების საფასურს. **როცა სასწორზე დიდ კომპანიასა და შედარებით მცირე კომპანიას შორის სადავო საკითხი დევს, ალბათ, ძნელად თუ მიიღებს კომისია მცირე კომპანიის სასარგებლო გადაწყვეტილებას შედარებით დიდი რეგულირების საფასურის გადამხდელი კომპანიის საზიანოდ.**

**ნოდარ ხადური**  
ეკონომიკის დოქტორი

## ბაზრის რეგულირების მექანიზმების ფაქტიური გაუქმებით გამოწვეული შედეგების კვლევა

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში ბოლო 20 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს, საქართველოსთვის განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. აღნიშნულ სირთულეებს ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები, კერძოდ კი, საქართველოს უწევდა სასიცოცხლო მნიშვნელობის რამდენიმე ამოცანის ერთდროულად გადაწყვეტა. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის რეფორმირების პარალელურად, იქმნებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო. ამასთან, აღნიშნული პროცესების დასაწყისი მიმდინარეობდა როგორც სამოქალაქო, ისე სამამულო ომების და საბრძოლო შეტაკებების ფონზე, მძიმე კრიმინოგენულ ვითარებაში. რასაკვირველია, აღნიშნულმა ფაქტორებმა ეკონომიკის რეფორმირების პროცესი უკანა პლანზე გადაწია და წინა პლანზე სახელმწიფოს შენარჩუნების საკითხი დადგა.

ამდენად, ეკონომიკის რეფორმირების სათანადო დონეზე დანყება მხოლოდ კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესებისა და აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

სამწუხაროდ, რეფორმის პირველ წლებში, საქართველოს ბაზრის რეგულირების გამოცდილება, პრაქტიკულად, არ ქონდა, რაც ისტორიული ფაქტორით იყო გამოწვეული. უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში (თუ

მხედველობაში არ მივიღებთ 1918-1920 წლებს), ეკონომიკური, მით უფრო, სტრუქტურული და სისტემური გადაწყვეტილებების მიღება საქართველოში არ ხდებოდა. ამდენად, რეფორმირების პირველ წლებში შეცდომები არ იყო გამორიცხული; თუმცა, ქვეყანა ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად ახდენდა საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პროცესების მართვა თანდათან რეგულირების სისტემებით იცვლებოდა.

ქვეყანას, რეალურად პირველად მის ისტორიაში, გაუჩნდა ეკონომიკის რეგულირების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორცაა ეროვნული ვალუტა, საგადასახადო სისტემა; გაჩნდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პარალელურად შეიქმნა მარეგულირებელი კომისიები. ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური პროცესების მართვის ქაოსური სისტემიდან, რომელიც ძირითადად არაფორმალურ ინსტიტუტებს ეყრდნობოდა და საბოლოო ჯამში კორუფციულ გარიგებებში აისახებოდა, ფორმალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

ქვეყანაში შეიქმნა ნებართვების სისტემა, ლიბერალური გახდა საგარეო ვაჭრობა, მინიმუმამდე შემცირდა რეგულირებადი ფასების რაოდენობა. რეალურად, სახელმწიფო სხვადასხვა ფორმით არეგულირებდა მხოლოდ ე.წ. “ბუნებრივი მონოპოლიების” ფასებს.

2004 წლის დასაწყისამდე საქართველო აყალიბებდა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ისეთ ინსტიტუციონალურ ბაზას, რომლის მაგვარიც იყო ევროპის ან ამერიკის სახელმწიფოებში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულებები საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. ამდენად, ევროპული მოდელებიდან გადახვევა, ქვეყნის მისწრაფებას, საკუთარი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპულ ოჯახში, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს.

2003 წლის ნოემბრის ბოლოს, საქართველოში “ვარდების რევოლუციის” შემდგომ, ეკონომიკის რეფორმირების ახალი ეტაპი იწყება, რომელიც თითქმის მთლიანად უკავშირდება რუსეთიდან დაბრუნებული ოლიგარქის კახა ბენდუქიძის სახელს.

საქართველოში რადიკალური ეკონომიკური (თუმცა ძნელია ამ პროცესს ეწოდოს “ეკონომიკური”) რეფორმები დაიწყო, რაც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მექანიზმების გაუქმებაში გამოიხატებოდა.

საქართველოს სახელმწიფომ, სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი რეგულაციების გაუქმების პარალელურად, უარი თქვა განეხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უვნებლობის რეგულაციები, რომელთა გაუქმებამ ან შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გააუარესეს ეკონომიკური გარემო. მოსაზრებამ, რომ ეს ყველაფერი ინვესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა და აისახა საქართველოს სხვადასხვა რეიტინგების მაჩვენებელზე, რეალურად ეკონომიკის განვითარებას უამრავი პრობლემა შეუქმნა. ამ პრობლემების გამოსწორება ან განეიტრალება საკმაოდ რთული იქნება და დროშიც სერიოზულად გაიწელება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფომ გარ-

და რეგულირების პირდაპირი ფორმებისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულაციების ფუნქციონირებაც, სურათი კიდევ უფრო მძიმდება.

2004 წლიდან გაუქმდა საგზაო ფონდი, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ფოსტის სამინისტრო, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, მეცხოველეობისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტი, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, “საქსტანდარტი”, კვების პროდუქტების ხარისხის ინსპექცია, ფიტოსანიტარული კონტროლი, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია. გამარტივდა მშენებლობის პროცედურები.

მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა. კერძოდ, ასეთი საქმიანობების 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114.

გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია, წინასარეისო სამედიცინო შემოწმება და ა.შ.

პრაქტიკულად, დერეგულირებულია ფარმაცევტული პროდუქციით საბითუმო ვაჭრობა.

გაუქმდა საავიაციო გადაზიდვებში პროტექციონისტული ნორმა, რომელიც ქართული და უცხოური კომპანიების პარიტეტს ითვალისწინებდა.

თუ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების ანალიზს ჩავატარებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი ეკონომიკის სრული დერე-

გულირებაა. საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ევროპულ ორიენტაციას აღიარებს, აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდება. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც აგებულია დამქირავებელთა უფლებების პრიმატის აღიარებით და პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი დასაქმებულთა ინტერესები.

საქართველოს ხელისუფლებამ, რეალურად, უარი თქვა არა მარტო თავად დაეცვა დასაქმებულთა ინტერესები, არამედ დასაქმებულებს საკუთარი უფლებების დაცვის ელემენტარული შესაძლებლობაც წაართვა, რადგან კანონმდებლობით, დამსაქმებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული. რასაკვირველია, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას, სამუშაო ადგილების შემცირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, მიმდინარეობს შრომის ანაზღაურების შემცირებაც, რაც, საბოლოო ჯამში, ერთობლივ მოთხოვნას მკვეთრად აუარესებს და, თავის მხრივ, კიდევ უფრო დიდი საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ ეკონომიკას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ და საქმიან წრეებში საკმაოდ სერიოზულად მსჯელობენ შრომის არსებული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე, რეალურად ლობი, რომელიც აღნიშნული კანონმდებლობის “ლიბერალიზაციას” უჭერს მხარს, იმდენად ძლიერია, რომ ჰარმონიზაციის პროცესი ჯერ-ჯერობით საუბრის დონეს ვერ გასცდა. აღნიშნული, ერთის მხრივ, ამორებს საქართველოს ევროპულ სივრცესთან, ხოლო, მეორეს მხრივ, ინვესს ისედაც მონოპოლიზირებული შრომის ბაზრის კიდევ უფრო მონოპოლიზირებას.

რებას, რომელზეც დამქირავებლების საბაზრო ძალაუფლება განუსაზღვრელია.

ცხადია, შრომის ბაზარი სულაც არ არის გამონაკლისი და სხვა ბაზრებზეც ანალოგიური ვითარებაა. ზოგადად ის, რომ საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების არსებობა ეკონომიკაში საზოგადოების კეთილდღეობას ამცირებს, ყველა ქვეყანაში, გარდა საქართველოსი, კარგად იცინა.

გემოთ გვქონდა საუბარი, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო. ერთ-ერთი წარმატებული იყო ინსტიტუტი, რომელსაც ბაზრის ანალიზი და მასზე საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტის გამოჩენის შემთხვევაში, მისი ძალაუფლების განეიტრალება ან იმგვარ ჩარჩოებში მოქცევა უნდა მოეხდინა, რომ მომხმარებელთა და ბაზრის სხვა მონაწილეთა უფლებები არ დარღვეულიყო. ცხადია, საუბარი ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასა და მის ბაზაზე შექმნილ ანტიმონოპოლიურ სამსახურს შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური მსოფლიო ბანკის, აშშ-ის მთავრობის, ევროპული სახელმწიფოების მატერიალური, მეთოდური და ფინანსური დახმარებით იქმნებოდა. საქართველოს მიღწევებით ამ სფეროში საკმაოდ ხშირად გვიამაყია სხვადასხვა დონეზე, თუმცა ეს სულაც ვერ გახდა მისი გაუქმების და ერთი ხელის მოსმით დანგრევის ხელისშემშლელი ფაქტორი.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, სწორედ ანტიმონოპოლიური სამსახური აღმოჩნდა ის პირველი სერიოზული სტრუქტურა, რომელიც გაუქმდა. გაუქმდა არა მხოლოდ სამსახური, არამედ მთელი კანონმდებლობა და მის ნაცვლად შეიქმნა კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” და შესაბამისი სამსახური.

საინტერესო ისაა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების მიზნად, ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობა დასახელდა. არგუმენტი გახლდათ ის, რომ მონოპოლია ინვესტორისათვის დარგის მომგებიანობის სიგნალი იქნებოდა და ისინი (ინვესტორები) სწორედ ამგვარ დარგებში განათავსებდნენ ინვესტიციებს.

დღეს არავინ კამათობს იმაზე, რომ ბაზარი რესურსების განაწილების საუკეთესო საშუალებაა და რაც მეტად ერევა სახელმწიფო ბაზრის ფუნქციონირებაში, მით უფრო ცუდად ანაწილებს ბაზარი რესურსებს და, ამავე დროს, რესურსების ნაწილი კორუფციულ გარიგებებს ხმარდება. არც ისაა დაფარული, რომ ბაზრის ფუნქციონირებას ახასიათებს ე.წ. “ჩავარდნები” და ბაზარი რესურსებს ხშირ შემთხვევაში ეფექტიანად და, უფრო ხშირად კი, სამართლიანად ვერ ანაწილებს, ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ხშირად გარდაუვალია.

კამათი იმის თაობაზე, გემოაღნიშნული ორი ჭეშმარიტებიდან, რომელი “ჭეშმარიტებაა” უფრო ჭეშმარიტი, კარგა ხანია გასცდა როგორც სამეცნიერო, ისე პოლიტიკური კამათის სფეროს და ხშირ შემთხვევაში, იდეოლოგიური საფუძვლის გარეშე არც კი განიხილება. რეალურად, არც ერთ ქვეყანაში ხელისუფლება, მიუხედავად დეკლარირებული პრინციპებისა, არ ამბობს უარს ბაზარზე ძალაუფლების მქონე სუბიექტების მიმართ გარკვეული ღონისძიებების გატარებაზე. ამის მაგალითად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კორპორაციის – “Microsoft”-ის – ამერიკული და ევროპული სასამართლო პროცესებიც კმარა.

ამ ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა გააუქმა საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და მის ნაცვლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიიღო კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც სულ 16

მუხლისგან შედგება. აღნიშნული კანონის “შემქმნელების” “სასახელოდ” უნდა ითქვას, რომ იგი ძალიან ბევრ „ორიგინალურ“ დებულებას შეიცავს.

საქართველოს კანონის “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” მიზნად გამოცხადებულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ბარიერების მოხსნა, ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული წინააღმდეგობების აღკვეთა, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დისკრიმინაციული ბარიერების არსებობის აღკვეთა. ამ მიზნიდან გამომდინარეობს, რომ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბაზარზე შესვლას სახელმწიფო უშლის, ხოლო ბაზარზე შესვლის სხვა, თუნდაც ხელოვნური, ბერკეტები არ არსებობს. სამწუხაროდ, ბიზნესში კონკურენცია ხშირად სცილდება ჰარმონიის ჩარჩოებს, ამავდროულად ეს პროცესები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და რეგულირების გარეშე რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აღიარებს საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების სახელმწიფოს დახმარების გარეშე წარმოქმნის შესაძლებლობას, კანონში მაინც “გაიპარა” ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია იღებს დაიცვას “რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში საზოგადოების სასიცოცხლო და ეკონომიკური ინტერესები”. შესანიშნავია! მაგრამ გარდა რეგულირებადი სფეროებისა, ეკონომიკის აბსოლუტურად დიდი ნაწილი დერეგულირებულია. შესაბამისად, სახელმწიფო უარს ამბობს ამ სფეროებში სახელმწიფოს ან საზოგადოების ეკონომიკური ან სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას, იმ ფონზეც კი, როდესაც ასეთ სფეროებში კონკურენცია შემზღვეულია.

კანონის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ რეგულირებად სფეროებს უწევს მონი-

ტორინგს და, რაც მთავარია, რეგულირების მხოლოდ ერთ - სატარიფო ფორმას ხედავს.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ზოგადად კანონი მონოპოლიურ საქმიანობად სახელმწიფოს ქმედებებს აღიქვამს. ამდენად, ცხადია სახელმწიფო საკუთარ თავს ვერ გაუწევს კონტროლს.

სამწუხაროდ, მიუხედავად შემზღვეული სფეროსი, ამ კანონის ცხოვრებაში გატარება და აღსრულება საკმაოდ რთულია. ერთი მარტივი ფაქტის გამო. ამ კანონის საფუძველზე შექმნილი სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა მკვეთრად შემზღვეულია (20-მდე თანამშრომელი). ასეთი რაოდენობის ადამიანური რესურსით კი, ნებისმიერი ქმედების განხორციელება შეუძლებელია. შესაბამისად, ეს სამსახური არ ფუნქციონირებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოუდგენელია, რომ სახელმწიფო თავისი ქმედებებით ხელს უწყობდეს ცალკეულ ბიზნეს სტრუქტურებს ან “ძირავედეს” მისთვის არასასურველ სტრუქტურებს და აღნიშნული სამსახური არანაირ რეაგირებას არ ახდენდეს.

ერთი რამ ცხადია, იმის გამო, რომ სახელმწიფო ბაზარზე არარეგულირებად სფეროებში არ ახორციელებს რეაგირებას, ირღვევა მომხმარებლის უფლებები. საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტები არიან ეკონომიკური საქმიანობის ბევრ სფეროში, მაგრამ მათი საქმიანობა არანაირ რეგლამენტირებას არ ექვემდებარება. სამწუხაროდ, მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ასეთ დარგებში არავინაა პასუხისმგებელი.

ის, რომ ასეთი სფეროების რეგულირების არარსებობა საზოგადოებრივ დანახარჯს ზრდის და მოსახლეობის ცხოვრების დონეს აუარესებს, რამდენიმე საინტერესო მაგალითმაც დაადასტურა. კერძოდ, საქართველოში ინვესტირებას აპირებდა ერთ-ერთი ავსტრიული კომპანია, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ ფაქტმა დიპლომატიური

სკანდალი გამოიწვია. როდესაც იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა ავსტრიაში, ეს საკითხი მისი ავსტრიის კანცლერთან შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა იყო, თუმცა, ვერც პრემიერ-მინისტრმა შეძლო საკითხის გადაჭრა. შესაბამისად, შეფერხდა ავსტრიული ინვესტიცია, ადგილობრივ კომპანიას საშუალება მიეცა კონკურენტის გარეშე ეფუნქციონირა და საქონელი უფრო მაღალ ფასად გაეყიდა. მომხმარებელი კი წაგებული დარჩა.

მეორე მაგალითი კი, საქართველოში ჰიგიენური მოხმარების საგნების იმპორტიორი ერთ-ერთი კომპანიის საქმიანობით სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანიზაციების დაინტერესების შემდეგ პროდუქციის მკვეთრ გაძვირებას შეეხება. იმის გამო, რომ ფინანსურმა პოლიციამ კომპანიის სანყოფემა დალუქა, ბაზარზე ჰიგიენური პროდუქციის მყისიერი დეფიციტი გაჩნდა და ფასები ჯერადად გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი შემთხვევა კარგად ასახავს სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტთა საქმიანობის მონიტორინგის აუცილებლობას, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტთა არსებობა გამონაკლისი სულაც არ არის და ასეთ საწარმოებს რეალურად ეკონომიკის ბევრ სფეროში შეხვედრით. საქართველოს ბაზარი კი იმდენად პატარაა, რომ რომელიმე უცხოური გიგანტის დაინტერესების შანსი საკმაოდ მცირეა, პატარა საწარმო კი, რეალურად, კონკურენციას ვერ გაუწევს უკვე ჩამოყალიბებულ ძლიერ კომპანიებს. შედეგი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და მომხმარებელთა უფლებების დარღვევაა.

ამდენად, მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული (იხილეთ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტი) ვალდებულებისა, რომლის თა-

ნახმადაც, “სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის განვითარებას”, “აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა” და ამავე დროს “მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით”, საქართველოში ეს სფერო აბსოლუტურად “ლიბერალიზებულია” და შესაბამისად კონსტიტუციის ეს მოთხოვნა არ სრულდება.

სამწუხაროდ, საქმე მხოლოდ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას არ შეეხება. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ხელისუფლების სამიზნე ეროვნული ბანკიც გახდა.

თუ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარების ისტორიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მარეგულირებელი ინსტიტუტი იყო. მისი წარმატებების ჩამოთვლა საჭირო არც არის, რადგან ის, რომ საქართველოს აქვს ეროვნული ვალუტა, რომელიც ინარჩუნებს პოზიციებს, და რომ საქართველოს საბანკო სისტემამ მრავალ ქართველს გაუძლო, სწორედ ეროვნული ბანკის დამსახურებაა.

სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ამ სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შესაძლებლობა იმ დონემდეც კი, რომ საუბარი ე.წ. “სავალუტო ფარის” ან “სავალუტო საბჭოს” შექმნას შეეხებოდა, რაც ეროვნული ბანკის ფუნქციების მინიმუმებს და, რეალურად, მხოლოდ ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნებას გულისხმობდა. არ განხორციელდა ეს საკითხი, შეიცვალა ბრძოლის ფორმა, მაგრამ მიზანი იგივე დარჩა – ეროვნული ბანკის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტრუქტურის უფლებების შეკვეცა და საზედამხედველო ფუნქციის ბანკიდან გამოტანა. ეს მიზანი სერიოზული გართულებების გარეშე იქნა მიღწეული და ეროვნული ბანკი დაიშალა.

იდეის ავტორები უფრო შორს წავიდნენ და ნაცვლად საბანკო სისტემის მონიტორინგისა, ანალიზისა, ეროვნული ბანკის ერთადერთ ფუნქციად ინფლაციასთან ბრძოლა გამოაცხადეს და თან ისე, რომ ინფლაციის მაჩვენებლის გადაჭარბების შემთხვევაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი დგება.

უნდა შეგახსენოთ, რომ ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სტრუქტურაა, რომლის პრეზიდენტს ირჩევს ბანკის საბჭო და მას პოლიტიკური იმუნიტეტი იცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბანკის პრეზიდენტი ხელშეუხებელია და, პოლიტიკური ქართველების მიუხედავად, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ გარკვეული პირობების მკაცრი დაცვითაა შესაძლებელი. ეს ნამდვილად ასე იყო “ვარდების რევოლუციამდე”, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრმა ტელეკამერების წინ ისე მოხსნა და პრეზიდენტობის ახალი კანდიდატი ისე წარადგინა, რომ არც კი გახსენებია, რომ ეროვნული ბანკი დამოუკიდებელი სტრუქტურაა და რომ არავის, მით უმეტეს, მთავრობის მეთაურს, ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა. საბოლოოდ კი, მივიღეთ სიტუაცია, რომ ეროვნული ბანკი თითქმის წელიწადნახევარი პრეზიდენტის გარეშე იყო დარჩენილი. შესაბამისად, ინსტიტუციურად და ადამიანური რესურსების მხრივ საკმაოდ დასუსტებულმა ეროვნულმა ბანკმა ვერ განახორციელა ის ფუნქციები, რომელიც ქვეყანაში მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას უზრუნველყოფდნენ და მივიღეთ რამდენიმე საკმაოდ სერიოზული უარყოფითი შედეგი. საქართველო საბანკო კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რაც შესაძლოა იპოთეკური დაკრედიტების კრიზისის ფონზე განვიხილოთ. ბანკები, ყოველგვარი ნორმატივების მკაცრად დაცვის გარეშე, იძლეოდ-

ნენ იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებს, ხოლო იმის გამო, რომ სესხები არ იყო სათანადოდ უზრუნველყოფილი, უკვე გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო არგადახდების პრაქტიკა, რამაც ბანკების ლიკვიდურობაზე უარყოფითად იმოქმედა და, რაც მთავარია, მათი დაკრედიტებისუნარიანობა მკვეთრად შეამცირა. შესაბამისად, შემცირდა ბიზნესის დაკრედიტება, დაიწყო ბიზნესაქტივობების შესუსტება, სამუშაო ადგილების შემცირება და ბანკები “მოჭადოებულ წრეში” აღმოჩნდნენ. შესაბამისად, 2008 წელი საქართველოში მოქმედმა პრაქტიკულად ყველა საბანკო დანესებულებამ სერიოზული ზარალით დაასრულა. გაიზარდა საპროცენტო განაკვეთი (მიუხედავად ინფლაციის შედარებით დაბალი ტემპებისა) და შედეგად, ეკონომიკის დაკრედიტება კიდევ უფრო შემცირდა. ცხადია, ეს მხოლოდ იმის ბრალი არაა, რომ ეროვნული ბანკი ვერ ახდენდა ბანკების საქმიანობის კონტროლს, მაგრამ შედეგები შესაძლოა ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო, ბანკი რომ თავის სიმალლეზე დარჩენილიყო და მთავრობისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაეტარებინა.

ამით არ დასრულებული საბანკო რეგულირებაზე შეტევები. უკვე 2009 წლის მარტში, კახა ბენდუქიძე ახალი “გენიალური” იდეით გამოვიდა და მოითხოვა საქართველოში ეროვნულ ვალუტას – ლარს – ჩამოერთვას ერთადერთი კანონიერი საგადახდებლო საშუალების სტატუსი და იგი გადაუნაწილდეს დოლარსა და ევროს.

მულტისავალუტო რეჟიმი, ბენდუქიძის ამრით, ინვესტიციების მოზიდვის ერთადერთი გზაა. სამწუხაროდ, მის ამ წინადადებას სერიოზულად განიხილავენ. არადა, ამ ნაბიჯის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო კარგავს ეკონომიკის რეგულირების ისეთ მექანიზმს, როგორცაა ვალუტა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

სახელმწიფოები, სადაც მულტისავალუტო (ალბათ, უფრო სწორედ ბისავალუტო) რეჟიმებია, ცხადია არსებობს, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ეს ხდება დროებით, როდესაც ერთი ვალუტა მეორე ვალუტით უნდა ჩანაცვლდეს. ფული ხომ სხვა არაფერია, თუ არა ნდობა. სამწუხაროდ, არც ისაა საიდუმლო, რომ საქართველოს მოსახლეობისა და განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორების ნდობა ქართული სახელმწიფოს მიმართ არცთუ ისე მაღალია. ამდენად, თუ ადამიანები დადგებიან არჩევანის წინაშე, ენდონ ლარს (ანუ საქართველოს სახელმწიფოს), დოლარს (აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას) თუ ევროს (ევროპის ცენტრალურ ბანკს), დიდი ეკონომიკური გათვლები არ იქნება საჭირო იმის დასადგენად, რომ ლარი მისი წინამორბედის - კუპონის - ბედს გაიზიარებს, ხოლო ეროვნული ბანკის ფუნქციები ნულამდე დავა და მისი არსებობა საჭირო აღარ იქნება. შესაბამისად, სახელმწიფო დაკარგავს მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს.

შემდგომ კი, ბაზრის დერეგულირების შედეგების კვლევის საჭიროებაც აღარ იქნება.

ასეთი მნიშვნელოვანი სამი სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შემდეგ, სხვა სფეროების დერეგულირებაზე საუბარი, შესაძლოა, არც იყოს იმდენად აქტუალური, მაგრამ როდესაც საუბარი ეხება ადამიანთა ჯანმრთელობას და კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლებას, არ შეიძლება ამ სფეროებში დერეგულირების შედეგებზეც არ გავამახვილოთ ყურადღება.

უპირველეს ყოვლისა, საუბარი შეეხება სურსათის უვნებლობას. იმ მოტივით, რომ ეს სფერო კორუფციული გარიგებების სფერო იყო, ნაცვლად კორუფციასთან ბრძოლისა, გაუქმდა სახელმწიფოს ფუნქცია, ებრძოლოს ფალსიფიკაციას და უხარისხო სურსათს.

თეორიულად ეს ყველაფერი გასაგებია. ბაზარი იმ საწარმოებს, რომლებიც აწარმოებენ უხარისხო, საზოგადოებისათვის მავნე პროდუქტებს, “ჩაძირავს” და გაიმარჯვებენ ის საწარმოები, რომელთა პროდუქტი არ იქნება საშიში ჯანმრთელობისათვის. მაგრამ არავინ სვამს კითხვას, – რის ფასად? ადამიანი გაიგებს მავნეებელია თუ არა ესა თუ ის პროდუქტი მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხმარს მას და საკუთარი ჯანმრთელობის გაუარესების, ან კიდევ უფრო მძიმე შედეგების დადგომის ხარჯზე უნდა დარწმუნდეს პროდუქციის უხარისხობაში.

სამწუხაროდ, ყველა გაუქმებული რეგულაციის ეკონომიკური შედეგის გათვლა საკმაოდ რთულია, ხშირად შეუძლებელიც კი. ერთი კი ცხადია, რომ ხელისუფლებას არ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული პოზიცია ამ

და სხვა საკითხების მიმართ, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ერთი და იმავე ხელისუფლებაში, მეტიც, მინისტრთა ერთ კაბინეტში, ერთი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, ერთი მინისტრის მეორე მინისტრით შეცვლის პარალელურად, ხშირად ამ დარგში მთელი პოლიტიკა იცვლება. ასე მაგალითად, დღეს დღის წესრიგში დადგა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენის საკითხი.

ცხადია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ გასული 4-5 წლის განმავლობაში ქვეყანაში იმდენად დამახინჯდა ეკონომიკური ურთიერთობები, რომ მის ცივილიზებულ, ევროპულთან მიახლოებულ სტანდარტებზე გადასვლას არაერთი წელი დასჭირდება და ისიც, მხოლოდ სწორი, მიზანდასახული, შეუქცევადი რეფორმების ფონზე.

თეიმურაზ მურღულია  
ეკონომიკის დოქტორი

## ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების როლი ბაზრის რეგულირებაში

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად, ორთოდოქს მემარჯვენეებსაც კი, ნებსით თუ უნებლიეთ, მოუწიათ პოზიციების დათმობა და ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის აღიარება. თავისუფალმა ბაზარმა კიდევ ერთხელ აჩვენა თამაშის წესების სწორად განსაზღვრისა და მათი დაცვის აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წესები მეურნე სუბიექტების რაც შეიძლება ფართო სპექტრისთვის უნდა იყოს სასარგებლო, ცივილიზაციამ ჯერ ვერ შეძლო მოეძებნა უზენაესი არბიტრაჟის სხვა სუბიექტი, თუ არა სახელმწიფო, როგორც, იდეაში, საზოგადოებრივი პოზიციის აბსოლუტური ფორმა.

სხვადასხვა სახელმწიფოების კრიზისთან ბრძოლის სამოქმედო გეგმების მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო თავი დაეღწია „საჭესთან“ დადგომის, ან საკუთარი შეცდომების ოპერატიულად გამოსწორების ცდუნებისაგან, რის შედეგადაც, მივიღეთ ნაციონალიზაციის, რეკაპიტალიზაციის და საბიუჯეტო თუ სარეზერვო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის მრავალი სხვადასხვა პროექტი.

ნათელია, რომ კრიზისის პირობებში, ხელისუფლებას არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უწევს, მაგრამ ასევე ფაქტია, რომ იაფი რესურსის პირობებში დაწყებული ეკონომიკური ბუმის ფონზე, აშშ-ში, მაგალი-

თად, ყურადღების მიღმა დარჩა ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინდიკატორის - შინამეურნეობებში დაგროვების დონის მაჩვენებლის - მნიშვნელოვანი შემცირება და 2005 წლის ბოლოსათვის უარყოფით ბალანსში გასვლაც კი. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო მობილიზებული და ქმედითი იყოს პრევენციის და არა მკურნალობის ეტაპზე.

ეკონომიკური უსაფრთხოება, თავისთავად, არ არის მკაცრი დისციპლინა. ყველა ქვეყანა თავის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრავს უსაფრთხოების კრიტერიუმებს. ზოგიერთ ქვეყანაში ძირითადი აქცენტი კეთდება ეკონომიკის ჯამურ სიმძლავრეზე, ზოგან გარე შოკებისადმი მდგრადობაზე, ზოგან სოციალურ ასპექტებზე და ა.შ. მაგრამ, ამასთან ერთად, თემატური ლიტერატურის კვლევა გვიჩვენებს, რომ ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც რეალური სუვერენიტეტის ფუნდამენტურ ფაქტორს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება გარკვეულ კრიტერიუმებს, რომლებიც, თავის მხრივ, განიშლება მიზნობრივი ინდიკატორების ერთობლიობად. ამ უკანასკნელის მთავარ ატრიბუტს წარმოადგენს **ზღვრული მნიშვნელობა**, რომლის დარღვევა საგრძნობი რისკის ფაქტორია სახელმწიფოს სო-



ციალური და ეკონომიკური სტაბილურობისათვის.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეისათვის საქართველოს არ გააჩნია ეკონომიკური უსაფრთხოების ჩამოყალიბებული ხედვა, კრიტერიუმებისა და შესაბამისი ინდიკატორების საკუთარი სისტემა. იმ ინდიკატორების მიხედვითაც კი, რომლებიც საერთაშორისო მეთოდოლოგიით გაითვლება, არ არსებობს ფორმალიზებული პოლიტიკა. არადა, მისი არსებობა, სულ მცირე, რეფორმების ურთიერთთავსებადობის კონტროლისთვის არის საჭირო, რათა ერთ პრობლემაზე რეაგირების შედეგებმა მეორე არ წარმოშვას.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ბაზრის რეგულირების პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს უსაფრთხოების ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა:

1. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა;
2. საფრთხეებისა და შოკებისადმის მდგრადობა;
3. რესურსების მართვის ეფექტიანობა.

ემპირიულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ თავისუფალი და კონკურენტული ბაზარი მხოლოდ დიდი და ძლიერი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამასთან, დიდი სულაც არ ნიშნავს ტერიტორიულად დიდს. იაპონიის ეკონომიკა ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე თითქმის 12 მილიონი დოლარის მშპ-ს გენერაციას ახდენს (PPP მეთოდით), საქართველო, ჯერჯერობით, მხოლოდ – 300 ათასის.

სხვა შემთხვევაში, ბაზარზე აუცილებლად წარმოიქმნება შემდეგი სახის პრობლემები:


1. მონოპოლიზაციისა და ტრესტული შეთანხმების რისკები;
  2. ინფორმაციის სისტემური ასიმეტრიულობა შესაბამისი საშუაშავლო ბიზნესების განუვითარებლობის ფონზე.
- ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ეკონომიკის

კონკურენტუნარიანობა ცალსახად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან თამაშის ადეკვატური წესების დადგენაზე. ბუნებრივია, ყოველთვის რჩება კონკრეტული საჯარო უწყებების არაკომპეტენტური და არაეფექტიანი ქმედებების რისკი, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას უწყების საქმიანობის სრულყოფით ებრძვიან. საქართველო ამ მხრივ უნიკალური ქვეყანაა, სადაც პრობლემების უმეტესობა მაკედონელის პრინციპებით, გორდიას კვანძის გადაჭრით წყდება და არა გახსნით. ამ შემთხვევაშიც, ლიკვიდაცია ანტიმონოპოლიური სამსახურის არაეფექტურობის მოგვარების საუკეთესო გზად იქნა მიჩნეული. ფაქტია, რომ ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში მონოპოლიური მდგომარეობის და განსაკუთრებით ტრესტული შეთანხმებების შედეგებმა (რაც სპეციალური გამოძიების გარეშე ძნელი დასამტკიცებელია) მას შემდეგ იმდენად იჩინა თავი, რომ დღის წესრიგში შესაბამისი მარეგულირებელი სამსახურის აღდგენის საკითხი ისევ დადგა.

მონოპოლიები და ტრესტები, სახელმწიფოს მიერ სათანადო კონტროლის დეფიციტის პირობებში, წარმოშობენ ისეთ საბაზრო ძალებს, რომლებიც ხელს უშლიან ინოვაციური ბიზნესის განვითარებას და მნიშვნელოვნად აზარალებენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

საქართველოში იმთავითვე არ შედგა დემპინგისა და ეკონომიკური ინტერვენციისაგან დაცვის ინსტიტუტები. ანტიმონოპოლიურ სამსახურს, სანამ იგი ჯერ კიდევ არსებობდა, ჰქონდა ფორმალური საშუალება ამ კუთხით ემოქმედა, მაგრამ ამჟამად, ეს თემა საერთოდ ყურადღების გარეშეა დატოვებული. მიღებული შედეგის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს უზარმაზარი აგრარული პოტენციალის მქონე ქვეყანაში სურსათის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (იხილეთ დიაგრამა 3.).


